საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 30 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 170 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 170

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

---

უზომოთ დამწუხრებულნი დედ-მამა სოფრომ კონსტანტინეს ძე და თებრონია მოსეს ასული ხორავები და მეუღლე სიმონ რომანოზას ძე ელიავა შვილი ვლადიმერით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 31 ამა ივლისს, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში განსვენებული, უდროოთ წუთისოფელს გამოსალმებულს,

**ელენე სოფრომის ასულის ელიავას**

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყობა 11 საათზე და პანაშვიდი წირვის შემდეგ განსვენებულის სასაფლაოზე იქვე ეკლესიის გალავანში. (2475—3—2)

---

ღრმად დამწუხრებული დავით ალექსის ძე დგებუაძე შვილებით: შოთა, ალიოშა, ბიჭიკო, ჰუჰულია, მეტია, მაკი, ფუცუ და პაუსია, რძალი ვალენტინა, სიძეები დავით ფულარია და ჯუგუ დადიანი; ძმები სამსონ და ბიჭიკო ლორთქიფანიძეები, დები პასიკო ლორთქიფანიძის ასული და მინადორა ჩარკვიანისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 ივლისს ღამის 10 ს., ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა დაუვიწყარი დედა და უკანასკნელთა საყვარელი და

**ქრისტინე როსტომის ასული დგებუაძისა**

რომლის გასვენება დანიშნულია 30 ამ თვეს, პარასკევს დილით 12 საათზე ქ. ქუთაისიდან (`ოლიციის ქ. ქვარიანის სახლი) სადგურზე. იქიდან ს. ღანირში მოხდება დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოზე შაბათს 31 ივლისს, პანაშვიდი ყოველდღე საღ. 5 ს. (2478 2—1)

---

ღრმათ დამწუხრებული შოთა დგებუაძე მეუღლით: ვალენტინა ალექსანდრეს ასული დგებუაძისა, ამით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი დედის

**ქრისტინე როსტომის ასული დგებუაძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ღანირში შაბათს, 31 ივლისს საგვარეულო სასაფლაოზე. (2478 1—1)

---

ღრმათ დამწუხრებული [illegible] ამით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი [illegible]

**ქრისტინე როსტომის ასული დგებუაძისა**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ღანირში შაბათს, 31 ივლისს საგვარეულო სასაფლაოზე.

---

ღრმათ დამწუხრებული [illegible] ჯუღუ გრიგოლის ძე დადიანი [illegible] ამით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი [illegible]

**ქრისტინე როსტომის ასული დგებუაძისა**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ღანირში შაბათს, 31 ივლისს საგვარეულო სასაფლაოზე.

---

[illegible]

**ვანო ილიოროს ძე პაპაშვილი**

[illegible] (2470 1—1)

---

ღრმად დამწუხრებული [illegible]

**კუპური (ფარნაოზ) ილიას ძის ელიავას**

[illegible] (2447 1—1)

---

## საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

[illegible] curriculum vitae. [illegible] (ტ. 2—2)

---

## მიხეილ კავკასიის სახალხო გუნდის მოგზაურობა

[illegible] (2486—1—1)

---

## ქ. ქუთაისის სულით ავადმყოფთა თავშესაფრის შენობაში

## საჯარო ვაჭრობით

[illegible] (ტ. 689—1—1)

---

## მუშათა ცენტრალური კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 123).

**შაბათს, 31 ივლისს,**

მეტყავეთა პროფესიონალური კავშირი (ახალი) გამართავს

## დიდ საღამო-სეირნობას

კავშირის ფონდის გასაძლიერებლათ. წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე

I

**აჰარა**

1 მოქმ. პიესა ილორელისა.

II

**დედის ერთა**

1 მოქმ. ვოდევ. ქორქოლიანისა.

III რუსულ ენაზე

**სოფლის ფერშალი**

1 მოქმ. კომედ.

IV

**დივერტისმენტი**

მუშათა პოეტების მონაწილეობით.

ბუფეტი ცხელი და ცივი საჭმელებით.

**ლატარეა, პტიშვო, ფოსტა, ცეკვა, ყვავილები, მკითხავი და სხვა მრავალი გასართობები.**

**დაუკრავს საზანდარი, ორკესტრი და ზურნა.**

ადგილების ფასი 20 მ.—100 მ. საღამოს მომწყობი **კომისია.**

(2484—2—1)

---

## ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო

სააქციონერო საზოგადოების დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 5 ივლისს

საზოგადოების წესდება დაამტკიცა.

საზოგადოების სამოქმედო თანხა წესდებით **30.000,000** მანეთით არის განსაზღვრული. თითო აქცია ღირს **1000** მან., რომლის ნახევარი მაინც უნდა იქნეს შემოტანილი ხელის მოწერის დროს. საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად კი 50 მან. თითო აქციაზე ერთდროულად. ხელის მოწერა მიიღება **10 აგვისტომდის** შემდეგ ბანკებში:

**ქუთაისში:** საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, სამეურნეო-სამრეწველო კრედიტის საზოგადოებაში და აზოვ-დონის კომერც. ბანკში.

**თფილისში:** ამიერ-კავკასიის ბანკში, ცენტრალურ ბანკში და სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში.

**ბათომში:** ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრო-ბანკში და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში,

**ფოთში:** ქართულ სავაჭრო ბანკში. (2476—3—1)

---

## კოოპერატიული საღამო

პარასკევს, 30 ივლისს, საღამოს 8 საათზე, დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში მოწყობილი იქნება მე-2 კოოპერატიული საღამო ს. ც. კ. კ. შემდეგი პროგრამით:

1) მოხსენება ა. დევდარიანისა „კოოპერატივი და მისი მნიშვნელობა მუშებისათვის" სურათებით.

2) ნაჩვენები იქნება ცეკავშირის მიერ გადაღებული სურათები—ადერბეიჯანის ფრონტი—2 ნაწ.

შესვლა უფასოა. (ნ. 2—1)

---

**მსურს ვიყიდო**

## საპარიკმახერო

ქ. თფილისში, უმთავრეს ქუჩაზე ყოველივე მოწყობილობით, პირობების გაგება ქ. ფოთში **ნესტორ ჩიხლაძესთან.** (2414 4—3)

---

**ექიმი**

## ნიკოლოზ სიმ.-ძე ხერხეული

იღებს სენებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

---

## საერთაშორისო ურთიერთობიდან

ომი გათავდა. ზავს კი ვერ ვეღირსეთ. აწეწილი ქვეყანა, ყუმბარის და წამლის საშინელი სუნით გაჟღენთილი, დღემდე ვერ ჩამდგარა ერთგვარ კალაპოტში. 5 წლის სისხლის დენამ ერთი შეხედვით ყველას თავი მოაბეზრა, ნამდვილათ კი სისხლის ფრონტები მთელ დედამიწას მოედვა. მართალია ეს ახალი სისხლის ღვარი დაყენებულია, უკვე ახალი გარემოების—რევოლიციურ მოძრაობის ჩაქრობის მიზნით. ომმა დაბადა შეუპოვარი სურვილი, მსოფლიოს გარდაქმნის და აქედან წარმოსდგა დიდი რევოლიუციური მოძრაობანი რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

გამარჯვებული კოალიცია, რომელიც დღემდე ზეიმობს და ზეიმი ჯერაც ვერ დაუთავებია, ამ ახალ საფრთხეს სასტიკი წინააღმდეგობით შეეგება. მოგებული საქმის წასაგები საფრთხე დაინახა მან ამ ახლად აღორძინებულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იმპერიალისტების დამარცხება შესძლეს, თავის მეტოქენი ჩამოიშორეს, მსოფლიოს ბატონობის კარები დააკაკუნეს და დახეთ, უძლურებას, რაღაც ახალი ძალები ამ ნეტარებას ხელიდან აცლიან. მეფეთა არმიის შემმუსვრელნი, მუშათა და გლეხთა გამოღვიძებული ძალის წინაშე დღეს უკვე მოკრძალებას გრძნობენ.

და აი იხლართება კვლავ საერთაშორისო კვანძი. იკუმშება კვლავ ჰაერი, იკრიბებიან ღრუბლები.

პირველი და მთავარი ამ ჟამათ ამ ღრუბლებთა შორის — რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობაშია ჩასახული.

რადიომ ცნობა მოგვიტანა—შერიგების და მოლაპარაკების ხანა იწყება და ზავი გვიკაკუნებს კარებზედო. მაგრამ ეს სურვილი ზავის კიდევ არ წარმოადგენს საფუძველს მის ჩამოგდებისას. საბჭოთა რუსეთი და მისი პოლიტიკა ვერ მოიდრიკება იმდენათ, რომ ევროპის იმპერიალისტებისათვის მისაღებს გახდება, ვერც ევროპის იმპერიალისტები დასთმობენ თავის ბატონობის საბოლოოთ შეურყევლათ იმდენს, რომ საბჭოთა რუსეთი დააკმაყოფილონ. ამ ორი პოზიციის მორიგება, მათ შორის ზავი შეიძლება მხოლოდ ერთის სრული დამარცხებით; ამიტომ ჩვენ, მიუხედავათ ზავის დიდი სურვილისა, მიუხედავათ იმისა, რომ ვიცით რუსეთს იგი უდიდესათ ესაჭიროება, მაინც უნდა გამოტეხილი ვთქვათ ზავი შეიძლება იყოს მხოლოდ შესვენება, მხოლოდ მოლაპარაკების ხანაში. ნამდვილათ კი რუსეთს ევროპის რეაქცია არასოდეს არ მოასვენებს. თვით რუსეთის შინაგანი მდგომარეობა და საბჭოთა პოლიტიკის ძირითადი ხაზი თავდებია ამ მოუსვენარობის. ვერც საბჭოთა რუსეთი მოასვენებს ევროპას. ამრიგათ ომის ალმური, კვლავ მოსალოდნელია. სისხლი კვლავ არ მოაკლდება დატანჯულ დედამიწას...

ამ ძირითად წინააღმდეგობის ნიადაგზე იხლართება კვანძი არა მარტო პოლონეთთან, რომელსაც ზოგიერთი ევროპიელი წრეები ცდილობენ მიუმატონ ფინეთი, ლიტვა, რუმინეთი, უნგრეთი და სხვ, ესე იგი ომის დასავლეთის ასპარეზი გააფართოვონ, არამედ იხლართება აღმოსავლეთის საკითხიც—სპარსეთის, ოსმალეთის, ქემალ-ფაშის და სხვ. მსოფლიო შენძრეულია, და გამწვავებული ბრძოლა მრავალ სხვადასხვა ძალების შეიძლება დამახასიათებელი შეიქნეს ამ საუკუნის პირველი ნახევრისთვის მაინც. სანრემოს კონფერენცია და სტამბოლის მთავრობის მიერ ზავზე ხელის მოწერა, თუ მოუწერლობა, დიდ ცვლილებებს ვერ შეიტანს იმ ძირითად წინააღმდეგობაში, რომელიც კონფლიქტებს აძლევს დასაბამს.

ვერც გერმანიის განიარაღება მოგვცემს იმ შედეგებს, რომელსაც გამარჯვებული ანტანტა გამოელის—ყველა ეს ზომები, მხოლოდ აჩანგრძლივებენ ახალი ქვეყნის წარმოშობის პროცესს!

მძიმე, რთულ პირობებში, საშინელის ტკივილებით და წამებით იბადება ახალი საზოგადოება. მაგრამ მისი წარმოშობის აუცილებლობა მაინც გამოსჭვივის ყოველ ახალ კვანძში, ყოველ მის გადაჭრის ცდაში ძველი დიპლომატიის მიერ.

ევროპა უნდა გარდაიქმნეს. არა ევროპის ძალთა ახალ წონასწორობის დამყარებით ძველ შეიარაღებულ ზავის ნიადაგზე, არამედ თვით ზავისთვის მტკიცე სოციალურ ნიადაგის მომზადებით. სოციალისტური ევროპა ერთად ერთი მემკვიდრეა დღევანდელი მდგომარეობის და ერთად ერთი გამოსავალი გზა იმ ციხიდან, რომელშიაც მოემწყვდა კაცობრიობა. რუსეთი ამ ახალ, დიდ პრობლემას თავის ძალებით ვერ გადასჭრის. იგი სვამს ამ პრობლემას, ისე, როგორც სვამს ამას ევროპის ქვეყნების ყოველი კონფლიქტი. მაგრამ იგი ვერ იძლევა მის დამაკმაყოფილებელ პასუხს. პირიქით თავის გამარჯვებას, ე. ი. მოძრაობის ხსნას დაღუპვისაგან, იგი ევროპის მოძრაობაში ხედავს. თვით მეთოდი და საშუალებანი საბჭოთა რუსეთისა ვერ ქმნიან მიმზიდველობას, და ვერ იტაცებენ ევროპის მუშათა ძალებს წასაბაძავათ. პირიქით, რუსეთის პოლიტიკა ~~დ~~ პრაქტიკა ბადებს უდიდეს იჭვებს და განცალკევებას ევროპიულ რევოლიუციურ ძალებისას. ესე იგი გამოააშკარავებს მათ უმთავრეს და აუცილებელ პირობას რევოლიუციის მოსახდენად—საშვალებას ეროვნულ კლასათ გამოვიდეს, მთელი საზოგადოების სახელით იმოქმედოს და გააკეთოს ის, რასაც მას თავის კლასის ინტერესები უკარნახებენ საყოველთაო საკაცობრიო იდეალების მისაღწევად. მაგრამ ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ევროპის მუშათა კლასი ბოლოს ამ ძლიერ დაბრკოლებასაც დაძლევს, თავის სწორ გზაზე გამაგრებით საზოგადოების უდიდეს ნაწილის, უკმაყოფილო და დატანჯული ნაწილის, თანაგრძნობას მოიპოვებს და ასე მოაახლოვებს იმ სანეტარო საათის დაკვრას, რომელიც გადაახალისებს ევროპას და იხსნის მთელ კაცობრიობას—სოციალიზმის დამყარებით.

---

## პრესა

„ნორ-აშხატავორი" (№ 91) ნახიჩევანის ამბების გამო, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს:

„ზანგიბასარის და ბეუქ-ვედის დაცემის შემდეგ ოსმალო—ბოლშევიკურ ადერბეიჯანის აგენტები იძულებულნი გახდნენ მოლაპარაკება დაეწყოთ სომხეთის მთავრობასთან.

„სომხეთის მთავრობა მიუხედავათ მათი მრავალი ბოროტ-მოქმედებათა და მუხანათურ ნაბიჯებისა, თანხმობით შეეგება ამ წინადადებას და ურჩია დაუყონებლივ შეეჩერებიათ მტრული მოქმედებანი, განიარაღებულიყვნენ და დაეტოვებიათ ერევან-ჯულფის რკინის გზა და გაეცათ მეამბოხენი.

„სომხეთის მთავრობის ამგვარი მშვიდობიანობა მისი სისუსტის ნიშნად უცვნიათ.

აჯანყებულებმა ისარგებლეს დროებითი ზავის ჩამოგდებით, მოაგროვეს ძალები, უარყვეს წინანდელი, მშვიდობიანის გზით ზავის ჩამოგდების წინადადება და დაიწყეს ბრძოლა იმ იმედით, რომ ახლათ მოსული წითელი ჯარები, „კომუნისტების" დაპირების თანახმად, დახმარებას გაუწევენ და თავს დაესხმიან სომხეთს ყაზახის და ზანგეზურის ფრონტებზე...

უნდა დაიქცეს აღმოსავლეთის კონტრ-რევოლიუციის ბუდე. მოკლებული უნდა იქნენ „წითელი" და „მწვანე" პანისლამისტები ახალ ავანტიურების შექმნის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამავე დროს უნდა განდევნილ იქნენ ყარაბაღიდან და ზანგეზურიდან „კომუნისტები" და განთავისუფლებულ იქნენ სომეხი და თათარი ხალხნი მათი ექსპერიმენტებისაგან. მოთმინების ფიალა აივსო! სომეხ მშრომელ ხალხს არ შეუძლია დაუჯეროს ჩიჩერინ-ჰუსეინოვის და კომპანიის ტკბილ ნოტებს.

„ბეკ-აღალარ მუხანათობის უკანასკნელი გეგმები უნდა დაიმსხვრან და სომხეთის საზღვრები საბოლოოთ უნდა უზრუნველყოფილ იქნენ ახალი შემოტევებისაგან.

ეს გამომდინარეობს არა მარტო სომხეთის, არამედ—მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ინტერესებიდან და უკანასკნელი მოვლენების ლოღიკიდან".

---

## რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრ. კომ. წერილი პარტიულ ორგანიზაციებისადმი

იმ ხმაურობიდან, რომელიც ასტეხა ბოლშევიკურმა პრესამ რუსეთში ინგლისის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო, ჩვენი ამხანაგები უკვე შეიტყობდენ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მოახერხა დელეგაციასთან კავშირის დაჭერა.

სამწუხაროდ, ის პირობები, რომლებშიაც იყო ჩაყენებული ინგლისის დელეგაცია, სრულიად არ უწყობდა ხელს იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც დელეგაციას ჰქონდა დასახული და რომელიც მდგომარეობდა რუსეთის ცხოვრების ყოველმხრივ გამოკვლევაში. პოლიტიკური სულით გამსჭვალული რეჟიმი სჩანდა მთავრობის მიერ დელეგაციის მიღებაში და იმაში, თუ როგორ ცდილობდენ ისინი დაებანდებიათ დაუპატიჟებელი სტუმრების დრო და ყურადღება. **არავითარ თავისუფალ ურთიერთობაზე იმათსა და „ქვეყანაზე უუთავისუფლეს ხალხს" შორის არ შეიძლება ლაპარაკიც კი.** მათთან მიჩენილი მთარგმნელები თამაშობდენ ცერბერების როლს, რომლებიც იცავდენ იმათ ჭეშმარიტ რუსეთის სინამდვილის გამხრწნელ გავლენისაგან. დელეგაციისადმი მიმართულ წერილებს ვიღაცა ხსნიდა და თუ საჭიროება მოითხოვდა, სპობდა კიდეც. ასე, დელეგაციამ ვერ მიიღო ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მისასალმებელი წერილი და ამის გამო კომიტეტმა ვერ შესძლო დელეგაციასთან კონტაქტში შესვლა. მოსკოვში „ჩრეზვიჩაიკის" აგენტები ჰყარაულობდენ დელეგაციის ბინას და „ამოწმებდენ" მიმსვლელთა პიროვნებას. მთავრობა სცდილობდა, რომ მთელი თავისი დრო დელეგაციას გაეტარებინა ზეიმობაში, პარადების ნახვაში და საბჭოთა დაწესებულებების დათვალიერებაში. დელეგაციის მიერ ფაბრიკა-ქარხნების **დამოუკიდებლათ** დათვალიერებაზე და იმათ უშუალო კავშარზე მასებთან ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. საბჭოთა მთავრობამ არ მოაწყო ერთი მუშათა მიტინგიც კი დელეგაციის პატივსაცემათ. მოგზაურობა მდ. ვოლგაზე და ფრონტზე, რომლებიც მოუწყო მთავრობამ ინგლისელებს, მოწყობილი იყო **„უმაღლეს სტუმრების" ექსკურსიების ჩვეულებრივ წესით, რომლების დროს აჩვენებენ** წინდაწინ მომზადებულ წარმოდგენებს.

ამ გარემოებაში პარტიისათვის მის ნახევრათ ლეგალურ მდგომარეობის გამო ძალიან ძნელი იყო საგრძნობლათ გაეფართოვებინა ინგლისელ ამხანაგების რუსეთის ცხოვრებასთან ნამდვილ გაცნობის ფარგლები და მასაც უხდებოდა არსებულ პირობებთან შეგუება. ბეჭდვითი საქმის მუშების პროფესიონალურმა კავშირმა სცადა შეეყვანა ინგლისელები „ხალხში": იმათ მიერ მოწვეული მიტინგი მრავალრიცხოვანი იყო (დაესწრო 4000 კაცი) და მან აჩვენა სტუმრებს მუშების ჭეშმარიტი სულიერი განწყობილება, მაგრამ ამ ცდის შედეგი იყო კავშირის გარეკა, მისი გამგეობის დატუსაღება და ის საზიზღარი „ბრძოლა" ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, რომელმაც ბევრ ალაგს გააუარესა ჩვენი პარტიის მდგომარეობა და გამოიწვია დატუსაღება ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციებისა.

ყველაფერი ეს იყო, ალბათ, ასრულება იმ დაპირებისა, რომელიც გამოსთქვა თავის სიტყვაში მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ კამენევმა ინგლისელ სტუმრების საზეიმო მიღების დროს „მუშათა ყოველ ორგანიზაციას მიეცემა დელეგაციასთან თავისუფალ ურთიერთობის შესაძლებლობაო."

ამასთანავე ცენტ. კომიტეტმა უნდა შენიშნოს, რომ მბეჭდავების მიტინგზედ კავშირის ხელმძღვანელები, პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, ატარებდნენ საერთო პარტიულ ხაზს, ე. ი. ბოლშევიზმის საერთო და კერძო ეკონომიურ პოლიტიკის და მისი მეთოდების კრიტიკას უქვემდებარეობდნენ იმ მოთხოვნილებას, რათა გაძლიერებული ყოფილიყო საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლა ბლოკადის მოხსნისა და რუსეთთან ზავის შეკვრის გარშემო. ამიტომ ბოლშევიკურ გაზეთების სხვადასხვა გვარი ლაპარაკი „დენიკინელებისა და კოლჩაკელების დახმარების" შესახებ წარმოადგენს ჩვეულებრივ შეკვეთით შეთითხნულ უსირცხვილო ტყუილს.

რაკი შეუძლებელი იყო ინგლისელ ამხანაგების შეხვედრისათვის **ფართო სახალხო** ხასიათის მიცემა, ამიტომ ცენტრ. კომიტეტს დარჩა მხოლოდ დელეგაციასთან ოფიციალურ ურთიერთობის დაჭერის გზა, რათა იმასთან პირადათ ყოფნით ხელი შეეწყო მისის შესრულებაში. უკვე მოსკოვის საბჭოში დელეგაციის საზეიმო შეხვედრის დროს ჩვენმა ორატორმა ამხ. აბრამოვიჩმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ დელეგაციისათვის აუცილებლათ საჭიროა ყველა მებრძოლ მიმართულების გაცნობა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში, შემდეგ ჩვენ ოფიციალურათ მივეცით წინადადება დელეგაციას—გაგვემართა საერთო კრება რუსეთისა და ინგლისის საქმეების მდგომარეობის საერთო ინფორმაციის მიზნით. დელეგაცია დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას და გამოგვიცხადა ჩვენ, რომ მის გეგმაშიაც შედიოდა მიღება ინფორმაციისა ყველა სოციალისტურ პარტიებიდან. მოწყობილი იყო ორი საერთო კრება, რომლებსაც მეტ წილათ ჰქონდათ ინგლისელების მიერ წარმოებულ ანკეტის ხასიათი, რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის, საბჭოთა რეჟიმის ხასიათისა და ჩვენი პარტიის პოზიციის შესახებ. ამგვარ ანკეტის წესრიგში მიცემულ პასუხების გარდა, ცენტ. კომიტეტმა გადასცა დელეგაციას ინგლისურ ენაზე მთელი რიგი წერილებისა ფაქტიური მასალით კერძო საკითხების შესახებ; მაგ. შესახებ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის, წარმოების მდგომარეობის,

# დღეს

**ლოიდ ჯორჯი და მილიერანი ბულონში შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთის საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად.**

**საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ბულგარეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება.**

**აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია საბერძნეთის ჯარების მიერ ამ დღეებში დასრულდება.**

**ბათომში მიღებული ცნობით მახნოს დაუკავებია ქალაქი ეკატერინოსლავი. მახნოსა და ვრანგელს შორის ს მხედრო შეთანხმება მომხდარა.**

## გენერალური შტაბის ცნობა.

29 ივლისი.

**ბათომის ოლქის ბორჩხა-ხოფის ხეობაში ჩვენს ჯარებს შეტაკება მოუხდათ ჩეტნიკების ბანდასთან ს. ჩევტეკეპერის მიდამოებში, რომელიც ბორჩხის დასავლეთით 12 ვერსზე და საზღვრიდან 3 ვერსზე მდებარეობს. ჩვენმა რაზმმა გაანადგურა ჩეტნიკების რაზმი. ჩვენ მოგვიკლეს 2 და დაგვიჭრეს 4 კაცი. მიღებული ცნობებით აღნიშნულ რაიონში ჩეტნიკთა ბანდების შეჯგუფება ხდება.**

**სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.**

საბჭოთა სისტემის მოქმედებისა, სასამართლოს წესისა, საბინაო პოლიტიკის და ბოლოს რ. ს. დ. მ. პ. პოლიტიკის შესახებ ომის დაწყებიდან, 1918 წ. დეკემბრის და 1920 წ. აპრილის პარტიულ თათბირების ყველა დადგენილებანი და ბევრი სხ.

დელეგაციასთან საუბრებში და მის სასარგებლოთ მუშაობაში ც. კ-ტი ისახავდა ორ გვარ მიზანს: პირველი გაეძლიერებინა ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლა ინტერვენციის წინააღმდეგ და ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის; ამ მიზნით იგი ცდილობდა მიეცა დელეგაციისათვის რაც შეიძლება მეტი მასალა იმის შესახებ, თუ რა რეაქციონურ და გამალატაკებელ მოქმედებას ახდენს ხალხზე ბლოკადა, და აგრეთვე შესახებ იმ ერთსულოვნობისა, რომელიც გამეფებულია ამ საკითხის შესახებ რუსეთის რევოლიუციონურ ბანაკში. ამასთანავე ჩვენ ვუთითებდით იმაზედ, რომ ინტერვენციონიზმზედ გასამარჯვებლათ არ არის საკმაო ბრძოლა პარლამენტში, არამედ საჭიროა ამ მოძრაობის მასებში გადატანა. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში დელეგაციის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დელეგაცია მიემგზავრება დარწმუნებული ანტი-ინტერვენციონისტურ მოძრაობის სიმძიმის ცენტრის ქუჩაში გადატანის აუცილებლობაში.

ამავე დროს ჩვენ ვისახავდით მეორე მიზანსაც და იმაზედ დიდხანს შეჩერდა უკვე ამხ. აბრამოვიჩი საბჭოში წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში: მიგვეცა ინგლისის პროლეტარიატისათვის მასალა სოციალიზმის ცხოვრებაში გატარების მეთოდებზე მსჯელობის დროს, და მაშასადამე გაგვეცნო მათთვის ისიც, თუ როგორ სწყვეტენ რევოლიუციის პრობლემებს ბალშევიზმი და საბჭოთა რეჟიმი და როგორ უყურებენ ამავე საკითხებს სხვა პარტიები.

ისახავს რა ამ მეორე მიზანს, რ. ს. დ. მ. პ. გამოდის იმ დებულებებიდან, რომლებიც საფუძვლათ დაედო მის რევოლიუციას ინტერნაციონალის აღდგენის შესახებ: საერთაშორისო მსოციალისტური მოძრაობა ვერ გადაიტანს იმ კრიზისს, რომელსაც იგი ეხლა განიცდის, და ვერ აღადგენს თავის მთლიანობას, მანამ არ გამოიმუშავებს სოციალურ რევოლიუციის ეპოქაში სოციალისტურ პოლიტიკის **პრინციპების ერთიანობას.** ყოველი მთელი, ყოვე-

რომ ლატაკმა და უკულტურო რუსეთმა უკვე განახორციელა სოციალისტური სამოთხე და რომ იგი თავის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებით გარედან გაანთავისუფლებს ევროპის პროლეტარიატს.

რუს. ს.-დ. მ. პ., რომელმაც საქმეზედ აჩვენა თავის ქვეყანაში, თუ როგორ შეიძლება რუსეთის რევოლიუციის იმპერიალიზმისაგან დაცვის თვით რევოლიუციის კრიტიკასთან შეთანხმება, არასოდეს არ დადგება ევროპის პროლეტარიატის შორის ამ კეთილშობილურ ტყუილების გავრცელების და რუსეთ-ევროპის ბალშევიკებთან მუშათა მასების კონსპირაციის გზაზედ. ის არ სთვლის რუსეთის რევოლიუციას იმგვარ სათუთ მცენარეთ, რომელიც ერთ წამში სჭკნება ცივი ჰაერის ნაკადულის შეხებისაგან. პირიქით, ის დარწმუნებულია, რომ რუსეთის რევოლიუცია მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აჩვენებს თავის თავს ევროპის პროლეტარიატს, ისე, როგორიც ის არის, ყველა თავის სისუსტით, შინაგან წინააღმდეგობებით, იარებით და მახინჯურ მეტხორცებით, შეასრულებს თავის მსოფლიო საქმეს და მოიპოვებს საერთაშორისო პროლეტარიატის შეგნების კონტროლის სახით თავის განკურნების საშუალებას.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარ საუბრების დროს ც. კ. მუდამ უწევდა ანგარიშს იმ პოზიციას, რომელიც ეჭირა თვით ინგლისელ ამხანაგებს იმ მოღვაწეებთან, რომლებსაც საზოგადოთ იმპერიალიზმთან ბრძოლის საკითხში, და განსაკუთრებით რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის ლაშქრობასთან ბრძოლის საკითხშია, უჭერიათ ორ აზროვანი პოზიცია, ჩვენ არ ჩავთვლიდით შესაძლებლათ სხვა საუბარს, საბჭოთა რუსეთის ცნობის აუცილებლობისა და ბლოკადის მოხსნის საჭიროების გარდა, მაგრამ ინგლისის დელეგაციის შემადგენლობა ამ მხრივ არავითარ ეჭვს არა სტოვებდა: მის მარჯვენა ფრთას შეადგენდნენ წარმომადგენელნი მუშათა პარტიისა, რომელმაც ომის შემდეგ გასწყვიტა „საღვთო კავშირი“ ინგლისის ბურჟუაზიასთან და იმის შემდეგ სასტიკათ ებრძვის ლოიდ ჯორჯს. მარცხენა ფრთას —მუშათა დამოუკიდებელ პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც ომის დროს ეჭირა ინტერნაციონალური პოზიცია და რომელიც ეხლა გამოვიდა მე-2 ინტერ-

ბლოკადის შედეგების გამოსარკვევათ. იტალიელი დელეგატების, თანახმათ თავის პარტიის ბალშევიკურ პლატფორმის მიმღებ უმრავლესობის სულიერ განწყობილებისა, ალბათ, არც სურთს გააცნონ თავას პროლეტარიატს რუსეთის ბალშევიზმის სინამდვილე და საპიროებენ მხოლოდ სათნო ლეგენდას იმის რევოლიუციონურ ენერგიის შესახურებლათ. მიუხედავათ ამისა, ც. კ. მიჭპართა დელეგაციას და მიუთითა, რომ მისთვის აუცილებელია გაეცნოს რუსეთის რევოლიუციონურ ბანაკის არა ბალშევიკურ ნაწილის შეხედულებებსაც. ც. კ. ამასთანავე ფიქრობდა, რომ მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელების გაცნობასაც კი ექნებოდა თავისი დიდებითი მნიშვნელობა.

დელეგაციამ სრული თანხმობა განაცხადა საუბარი გაემართა ჩვენთან; მას ერთხელ კიდევ შევხვდით; ამ შეხვედრის დროს დელეგაციის მხრივ იყვნენ 4 წარმომადგენელი,—2 დელეგატი პარლამენტის ფრაქციიდან და ორიც შრომის კონფედერაციიდან. ჩვენ გაკვრით გავაცანით ჩვენი პარტიის პოლიტიკა, რომელსაც იგი ატარებდა ორი წლის განმავლობაში და აღვნუსხეთ მთავარი მუხლები, რაც ჩვენ გვანსხვავებდა ბალშევიზმიდან. თავის მხრივ იტალიელ დელეგატებმა მოგვცეს ჩვენ რამოდენიმე კითხვა; ამ კითხვებიდან ზოგი იმას მოწმობდა, რომ იტალიის დელეგეციას ჰსურდა შეეფასებია ბალშევიკების მიერ მიწოდებული ცნობები „დენიკინ-კოლჩაკის მხარის დაჭერის“ შესახებ; ზოგი კითხვები კი შეეხებოდა იმ პირებს, რომლებშიაც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა: დაპატიმრება, დახვრეტა. ბეჭვდითი ორგანოს უქონლობა, ორგანიზაციების გარეკა და სხვ. ჩვენ მათ მივაწოდეთ სათანადო მასალები.

გარდა ამისა ჩვენ შევეცადეთ უფრო მჭიდრო კავშირი დაგვეკავებია დელეგაციის არა კომუნისტ წევრებთან (ასეთია უმრავლესობა და ამასთანავე გამორკვეული მარქსისტები); ჩვენ მათ წარვუდგინეთ უფრო დასაბუთებული ფაქტიური მასალები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საბჭოთა რუსეთის ცხოვრება და როგორ პოლიტიკას აწარმოებენ აქ,—უფრო დასაბუთებული მასალა, ვინემ ინგლისელ ამხანაგებს წარვუდგინეთ. ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ დამოკიდებულება დაგვეჭირა საფრანგეთის პარტიის დელეგატებთან—მ. კაშენთან და ფროსართან, რომლებიც აქ მოვიდენ იმ მიზნით, რათა მოლაპარაკება ეწარმოებიათ მე-3 ინტერნაციონალსა და საფრანგეთის პარტიის შორის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და რომლებსაც კომუნისტები ძალზე მკაცრათ შეხვდნენ; ასეთ შეხვედრის გავლენით თავის ბუნებრივ ოპორტიუნიზმის გამო აღნიშნული დელეგატები, როგორც სჩანს, ძალიან ცდილობენ საბჭოთა მთავრობის ნდობა „დაიმსახურონ“; ამიტომ ისინი შიშობენ სახელი არ გაიტეხონ „კონტრ-რევოლიუც.“ რ. ს.-დ. მ. პარტიასთან დამოკიდებულების დაჭერით; მიუხედავათ ამისა ჩვენ შევეცდებით მივაწოდოთ მათ ესა თუ ის დოკუმენტები საფრანგეთის პარტიის ცენტრალურ კომიტეტისათვის გადასაცემათ.

რუს. სოც. დემ. მ. პარტიის **ცენტრალური კომიტეტი. მდივანი** (ხელმოწერილია). 30 ივნ. 1920 წ.

# კომუნისტების მუშაობა ჩვენში

(საქართ. დეპ. სააგენტოს ცნობა.)

ამ დღეებში კონტრ-მზვერავთა მიერ შეპყრობილ იქმნენ ჯიბლაძე, სურგულაძე ნიკოლოზ ვოლკოვი (იგივე ვერდი და იგივე ვიგრიანოვი) და ლევან კალანდარაშვილი, რომლებიც ლამობდენ გაგრის ფრონტით საზღვარზე გადასვლას. შეპყრობილებს აღმოაჩნდათ ეგრეთ წოდებული „კერენკები“ 75,000 მ., სამხედრო შტაბის რუქები სოხუმის ოლქის და მისი მოსაზღვრე რაიონებისა. ამ რუქებზე აღნიშნულია სქემა ჩვენი ჯარების დაბინავებისა და დართული აქვს ბარათი, რომელშიც აღწერილია ჩვენი ჯარის სადარაჯოების (პოსტების) რაოდენობა და განაწილება: ციფრობრივი შიფრი რუსული ანბანისათვის და ხუთი მანდატი. ამათგან ორი მანდატი გაცემულია ბათომის კომუნისტური პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სურგულაძისა და ჯიბლაძისა სახელზე ა. წ. 17 და 19 მაისის თარიღით. მანდატებში ნაჩვენებია, რომ სურგულაძე და ჯიბლაძე ხსენებულ პარტიის მებრძოლი ჯგუფის წევრნი არიან და აუცილებლობის გამო იძულებულნი არიან დასტოვონ ბათომი ერთი მოწყობილი საქმის ჩაფუშვის შემდეგ და გაემგზავრონ საბჭოთა რუსეთის ნავთსადგურისაკენ. შემდეგი ორი მანდატი იმავე პირთა სახელზე გაცემულია საქართველოს კომუნისტურ პარტიის გაგრის სამაზრო კომიტეტის მიერ ა. წ. ივლისის 13 თარიღით ნიშნად იმისა, რომ სურგულაძე არის გაგრის სამაზრო სამხედრო კომიტეტის წევრი, ხოლო მეორე—ჯიბლაძე—ამავე კომიტეტის ინსტრუქტორი. მეხუთე მანდატში, რომელიც გაცემულია გაგრის სამხედრო „რევკომის“ მიერ სურგულაძისა და ვოლკოვის სახელზე ა. წ. ივლისის 19, აღნიშნულია, რომ ეს ორი პირი იგზავნებიან ყუბან-ჩერნომორიის „რევკომთან“ გაგრის ფრონტზე მომავალ მუშაობის შესახებ ზოგიერთ საკითხების შეთანხმებით გადასაწყვეტად და, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული საკითხები უარყოფით გადაიჭრება სამხედრო „რევკომი“. იშლება თანახმად საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა, რის შემდეგაც სურგულაძე თავისუფლდება მასზე დაკისრებულ მუშაობისაგან და იგზავნება რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყუბან-ჩერნომორიის კომიტეტის განკარგულებაში. გარდა ამისა, სურგულაძეს და ჯიბლაძეს აღმოაჩნდათ დღიურები და სხვადასხვა ბარათები, რომლებიც ყოველივე ეჭვს გარეშე ჰყოფენ მათ ბოროტმოქმედებას ამბოხების ორგანიზაციისა და ჩვენი ლაშქრის გახრწნისა და დაშლის საქმეში, საქართველოსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულობის დადების შემდეგ, ადერბეიჯანთან ომის დროს.

დაწვრილებითი დაკითხვის დროს დაპატიმრებულნი არ უარყოფდნენ, რომ მათი მოქმედება მიმართული იყო საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. სხვათა შორის ჯიბლაძე და სურგულაძე გამოტყდნენ ლიახოვის მოკვლაში ქ. ბათომში. საერთოდ, როგორც შეკრებილი საბუთებიდანა სჩანს, ორგანიზაციამ ვერ შესძლო განვითარება და გამაგრება მიუხედავად იმისა, რომ ბათომისა და სოხუმის ოლქის სხვადასხვა ადგილებში არსებობდა მათი „იაჩეიკები“. გარდა ზემოხსენებული პირებისა დაპატიმრებულია ვინმე კომ. მაკაროვი, რომელსაც სხვა საბუთებთან ერთად აღმოაჩნდა სოხუმის კომუნისტური საოლქო კომიტეტის ცირკულიარი ხსენებულ ოლქის ყველა ორგანიზაციების მიმართ ა. წ. მაისის 12 თარიღით (ე. ი. რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ). ცირკულიარი მოუწოდებს ყველა პარტიულ და პასუხისმგებელ მომუშავეთ ფარული მუშაობისაკენ; მოუწოდებს მოქალაქეთ უყურადღებოდ დასტოვონ მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია და ნებას რთავს გამოცხადნენ ჯარში გასაწვევად მხოლოდ იმ მიზნით, რომ იარაღი მიიღონ და შეიარაღებულნი დაბრუნდნენ სახლში. გარდა ამისა, ივნისის 21 ქ. სოხუმში დაპატიმრებულ იქნა კომუნისტი კუხალეიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა სოხუმის რუქა, ბომბები, შიკფორდის ზონარი, 7 ასაფეთქებელი პატრონა და სასროლი იარაღი. ამავე დროს დაპატიმრებულია კომუნისტი სვანიძე. თანდათანობით აშკარავდება, რომ კუხალეიშვილისა და მაკაროვის მოქმედებათა შორის არსებობს კავშირი და აგრეთვე ისიც, რომ სურგულაძეს და ჯიბლაძეს მონაწილეობა აქვთ მიღებული კინტრიშის ხიდის აფეთქებაში.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

29 ივლისი.

**კონსტანტინოპოლი.** ივლ. 10. სახელმწიფო სათათბიროს ყოფ. წევრმა ბ. ენგელგარდტმა „სტამბოლში“ დაბეჭდა წერილი რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ბალტიის პირის პროვინციებისა და პოლონეთის დაკარგვის შემდეგ რუსეთის შინაური საქონლის აბსოლიუტური რიცხვი 40% შემცირდა. ამის გამო რუსეთს თითქმის სრულებით არ აქვს შესაძლებლობა, რომ უცხო ბაზარზე მატყლი გაიტანოს. სრულებით განადგურებულია არაყის წარმოება. შაქრის წარმოება, რომელიც წელიწადში 2.105 მილიონ ფუთს იძლეოდა, ეხლა სულ ბევრი, 20 მილ. ფუთ შაქარს იძლევა. უკეთეს მდგომარეობაშია ხელის წარმოება და ნავთის მრეწველობა, რადგანაც ნავთი ბევრია ადერბეიჯანში. ნავთის დამუშავება ბალშევიკების ხელში მეტად შემცირდა. აგრეთვე მეტად დაეცა თუჯის წარმოება.

**რომი.** რიგის ნავთსადგურმა დაიწყო მოქმედება. თანახმად სტატისტიკურ ცნობებისა აპრილის განმავლობაში რიგის ნავთსადგურით 42 მილიონ მანეთის საქონელი შემოუტანიათ. გაუტანიათ კი 82 მილ. მანეთისა. აქედან 61 მილ. მან. სელი არის გატანილი.

**რომი.** მთავრობამ ბრძანება გასცა სათესი მიწის გაფართოვების და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იმას. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, ჩამოართმევენ მიწას და გლეხებს გადასცემენ.

**რომი.** „ილ სოლე“ იუწყება: კიშინოვში რუმინეთის მეფისა დ დედოფლის მისვლის რამოდენიმე დღის წინ, დაიჭირეს ედუარდ შნაზე, რომელიც გამოგზავნილი ყოფილიყო მოსკოვიდან რუმინეთში ბალშევიკურ აგიტაციის საწარმოებლათ. შნაზეს უნახეს აუარებელი ფული, პროკლამაციები ყველა ენაზე დაბეჭდილი და დინამიტი. აგრეთვე იასაში დაატუსაღეს რამოდენიმე კომუნისტი.

**კონსტანტინოპოლი.** „ბოსფორი“ სწერს: ბალშევიკები წავიდენ სპარსეთიდან, რითაც ქემალ-ფაშასთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი დაარღვიეს. ბალშევიკური მუქარა დროებით გაქრა აზიიდან.

**ლვოვი.** „ლვოვის კურიერი“ იუწყება, რომ გროდნოს გუბერნიის ჩრდილოეთის საზღვარზე პოლონელებსა და ლიტოველთა შორის შეტაკებანი დაიწყო. ლიტოველები უკუ აგდეს დიდი დანაკლისით.

**ვარშავა.** გენ. ვრანგელის მთავრობისაგან გენერალ გლაზენკოს მეთაურობით მოვიდა დელეგაცია.

**პრაგა.** საერთაშორისო კომისიამ, რომელიც არკვევდა საზღვრებს ჩეხო სლოვაკიისა და რუმინეთს შორის, დაასრულა თავისი მუშაობა. ჩეხო-სლოვაკიის საზოგადოების აზრით, ეს საზღვარი უფრო დააკმაყოფილებს რუმინეთს, ვიდრე ჩეხო-სლოვაკიასო.

**ქრისტიანია,** ივლ. 10. დანიის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ყოველგვარი შევიწროვება საქონლის გატანაზე.

**ვარშავა.** 20 ივლ. ფინეთის მთავრობის რწმუნებულებით პოლონეთში მოვიდა ფინეთის ელჩი კარლ ჰილნდეგელი.

**ბათომში.** (საქ. კორ.) აქ მოსული ცნობებით მახნოს ჯარს კვლავ დაუკავებია ქ. ეკატერინოსლავი. მახნოს ჯარში ამ ჟამად რამოდენიმე ათი ათასი უკრაინელი გლეხი იმყოფება. ამავე ცნობებით მახნოსა და ვრანგელს შორის მომხდარა სამხედრო შეთანხმება.

სევასტოპოლში გენ. ვრანგელის განკარგულებით მოხდა ყრილობა, რომელზედაც გამოაქვეყნეს ფულის რეფორმის პროექტი. ამ პროექტის თანახმად უნდა გამოუშვან ახალი ქაღალდის ფულები, რომელიც ხორბლის მომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. არსდება სახელმწიფო ხორბლის ფონდი.

**ერევანი.** ივლ. 23. საბერძნეთის გენ. შტაბის პოლკოვნიკმა კატენესტისმა ინახულა სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარსარდალი გენ. ნაზარბეკოვი, საბერძნეთის წარმომადგენელის საპატივცემულოთ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა სომხეთსა და საბერძნეთს შორის არსებული მტკიცე მეგობრული განწყობილება. საბერძნეთის წარმომადგენელმა თავის პასუხში იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში საბერძნეთისა და სომხეთს შორის მეგობრული კავშირი უფრო განმტკიცდება.

# „სოფლის მუშის“ განცხადება

9 მარიამობისთვიდან თფილისში გამოვა ახალი ყოველ კვირეული გაზეთი „სოფლის მუშა“.

სათაური ამტკიცებს, თუ ვის უნდა ემსახუროს ეს გაზეთი.

ყოველი გაზეთი ჩვენში ალაგს უთმობს სოფლის ცხოვრების გაშუქებასაც. მაგრამ ეს სხვათა შორის ხდება და გაზეთს არ შეუძლია თავისი ფურცლები მარტო სოფელს დაუთმოს.

სოფლის მუშაკი დღეს იმდენათ გაიზარდა, მისი საქმიანობა და მოთხოვნილებაც იმდენათ გართულდა, რომ მას ესაჭიროება საკუთარი გაზეთი.

რევოლიუციამ სოფლის ცხოვრებაში მეტათ დიდი ცვლილება შეიტანა: წოდებები გაუქმდნენ, გლეხი მოქალაქეთ გახდა, მან მოიპოვა სხვადასხვა უფლებანი, მიწა ჩამოერთვა მემამულეს და ურიგდება უმიწაწყლო გლეხებს.

ერთბაშათ და უნაკლულოთ ასეთი დიდი საქმის გაკეთება არსად არ მომხდარა, ვერც ჩვენში მოხდება.

სხვადასხვა გაუგებრობას, უსამართლობას, დაუდევრობას, უკმაყოფილებას ჩვენშიც ექნება ადგილი.

ახალი გაზეთის მიზანია ყოველივე ამას შეებრძოლოს აშკარათ და მოურიდებლათ.

ამიტომ ყოველი შეგნებული სოფლის მუშა უნდა იყოს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი. სად ტარდება მიწის რეფორმა უსამართლოთ, სად არღვევენ კანონს, სადა აქვს ადგილი მიკერძებას,—ყოველივე ასეთს ცნობას სოფლიდან დიდის სიამოვნებით დავუთმობთ ალაგს გაზეთში.

ყოველგვარ შეკითხვაზე მიწის რეფორმისა ან მიწისა და სტყეო კანონმდებლობის შესახებ დაუყოვნებლათ გავსცემთ პასუხს.

არეულ დროში ვცხოვრობთ, ჯერ ახალი ცხოვრების დიდი დუღილია. სხვადასხვა შეხედულება ერთიმეორეს ებრძვის. ასეთ დროს სოფლის მუშას ხშირათ უძნელდება ჭეშმარიტების გაგება.

ამ სიძნელეს ის ართულებს, რომ სოფელი ქალაქს ჯერ კიდევ მოწყვეტილია, სოფელში განათლება ნაკლებია, ჭორი, სიცრუე და ტყუილი ბლომათ ვრცელდება.

ჩვენი გაზეთი სრულს სიმართლეს მიაწვდის სოფლის მუშას და მიუდგომლათ აუწერს, რაც მოხდება ჩვენში და ჩვენს გარეთ, რუსეთსა და ევროპაში.

„სოფლის მუშა“ უნდა გადაიქცეს საჭირო, საყვარელ და აუცილებელ გაზეთათ სოფლის მუშისათვის. ეს ასეც მოხდება, თუ სოფლის მუშების ყოველი გულშემატკივარი დაგვეხმარება საჭირო მასალის მოწოდებით.

მოვუწოდებთ ჩვენს პოეტებს, ბელეტრისტებს, იუმორისტებს,—ყველას, ვისაც მუშისათვის გული უცემს და კალამი უჭრის, დაგვეხმარონ ამ საქმეში.

მოკლე წერილები, ლექსები, პატარა მოთხრობები, მხიარული ამბები, რაც მიწის მუშას გულს მოფხანს, სახეს გაუბრწყინებს, მტერს და მოყვარეს დაანახვებს,—აი რა გვინდა ჩვენ.

რედაქციის მისამართი: თფილისი, რედაქცია „ერთობა“, „სოფლის მუშას“-ს. პირადი მოლაპარაკება შეიძლება აქვე „ერთობის“ რედაქციაში დილის 8—10 საათამდე.

სარედაქციო კოლეგიის წევრნი: **ალ. ლომთათიძე, ივ. გომართელი, სტ. ელიაძე.**

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**თეთრების აჯანყება. დიდი ნადავლი და პატივისცემის ნიშნად „გმირებს“ 50 საუკეთესო ცხენი.**

**კისლოვოდსკი.** ივნისის ბოლო რიცხვებში კისლოვოდსკში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ბეკეშევსკის და ბურგუსტანის სახაზინო ტყეების რაიონში გროვდებიან თეთრ-გვარდიელთა რაზმებიო. ადგილობრივმა მთავრობამ და პარტიამ დაადგინეს მიეღოთ ზომები, რათა საბოლოოდ მოესპოთ ეს ბანდები. ეს საქმე დაკისრებული ჰქონდა პარტიის წარმომადგენელ ფრიდლიანდს, მე №-ე პოლკის უფროსს ვორონოვს, რომელმაც ბევრჯელ გამოიჩინა თავი, როგორც გულადმა წინამძღოლმა. დასახელებულმა პოლკმა, მიიღო რა ცნობები, რომ მტერი გროვდება ლიოსში, დაიკავა სადგური ბეკეშევკა. 2 ივლისს, 5 საათის ბრძოლის შემდეგ მტერმა უკან დაიხია და იწყო ხელახალი მზადება. 3 ივლისს, მტერი, რომელსაც ყოველ მხრივ შემოეხვია დასახელებული პოლკი, იძულებული გახდა ჩაბმულიყო ბრძოლაში, რომლის დროს ჩვენ მოვკალით პიატიგორსკის „ყოფილი ადამიანი“ პოლკოვნიკი მინიაკოვი, რომელიც თეთრების ხელმძღვანელი იყო, ხოლო იმისი ადიუტანტი მოკლულია ბრძოლაში პირადათ ფრიდლიანდის მიერ. საღამოს ყველაფერი მოთავდა, წამოვიყვანეთ ტყვეები, ამასთანავე ხელთ ჩაიგდო ჯარმა დიდი ნადავლი. თეთრებმა აქ შეაგროვეს სამასი კაცი ტყვიისმფრქვეველით. ნაპოვნია ბურგუსტანის აღების, მობილიზაციის გამოცხადების და კისლოვოდსკაზე შეტევის გეგმა. ბანდების საბოლოო ლიკვიდაციისა და ბეკეშოვკის დაკავების შემდეგ, გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს ფრიდლანდმა და ვორონოვმა. მცხოვრებლებმა, რომლებიც თავიდანვე არც ერთის მხარეზედ არ იყვნენ, დარწმუნდენ რა, რომ საბჭოთა მთავრობა ძლიერია, გამოიტანეს რეზოლიუცია: ამის შემდეგ ვფიცავთ, რომ მტკიცეთ ვიდგებით საბჭოთა მთავრობის დაცვის ნიადაგზე და მის პირველ დაძახებისთანავე მზათა ვართ დავდოთ თავი სახელოვან გმირებს პატივისცემის და მეგობრობის ნიშნათ—ვაძლევთ 50 საუკეთესო ცხენებსო. („კომუნისტი“ № 77)

**წერილი რედაქციის მიმართ ანუ „სემიჩკის“ ჭამა.** ამხანაგო რედაქტორო! ბრძანება № 16 ქალაქ კავკავის გარნიზონს, 23 ივნისის თარიღით, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. არაფერი, რაც იქ არის ნაბრძანები, არ სრულდება. უმთავრესად მე-2 პარაგრაფი, რომლითაც აკრძალულია ქუჩებში, მთავრობის და საზოგადოებრივ დაწესებულებებში „სემიჩკის“ გაყიდვა და ჭამა. პუბლიკა წინანდებურათ თავისუფლათ სჭამს „სემიჩკას“, მოვაჭრენი კი, თითქოს ბრძანებას დასცინიანო, უფრო მეტ „სემიჩკას“ ჰყიდიან, და მწკრივდებიან ბულვარებისა და ბაღში შესასვლელ ადგილების გასწვრივ, მილიციონერები აქვე დასეირნობენ და თვით სჭამენ „სემიჩკას“, რითაც ხელს უწყობენ სხვებს ისევ გაავსონ ნაგავით ქალაქი, რომელმაც მხოლოდ ეხლა ძლივს დაიწყო ტალახიდან თავის დაღწევა. ვინ არის აქ დამნაშავე—ხალხი თუ მილიცია?—ამ ბრძანებაში ხომ არის ნათქვამი, რომ მილიციის უფროსმა ადევნოს თვალყური ამის ასრულებასო. წითელი კომანდირი **ა. გიბილჩენკო** („კომუნისტ“ № 80).

(ჩამოსულის ნაამბობიდან)

25 ივლისს მოსკოვიდან ჩამოვიდა ქ-ნი ნ., რომელმაც ჩვენს თანამშრომელს სხვათა შორის შემდეგი უამბო: მოსკოვში, ისევე როგორც მთელ რუსეთში დიდი კრიზისია სურსათ-სანოვაგის. ორ თვეზე მეტია, რაც მცხოვრებთა კატეგორიებათ დაყოფა მოისპო. ყველას ორ დღეში ერთხელ ¾ გირ. პური ეძლევა. სუხარევკაზე გირვანქა შავი პური 620 მ. ღირს, თეთრი 1000 მანეთზე მეტი გირვანქა. ძროხის და ცხვრის ხორცი სრულიად არ არის ბაზარზე, ნაკლებათ არის ცხენის ხორციც, რომელიც გირვანქა 500 მ. ფასობს. ერბო გირვანქა 3,000 მ. ღირს, შაქარი 3 აოასი მ. მარილი გირ. 1200 მან. რაც შეეხება მანუფაქტურას, მცხოვრებთ წელიწადში ერთხელ ეძლევათ რამოდენიმე არშინი მიტკალი, ან უბრალო ჩითი. მაუდი, ან შევიოტი ბაზარზე თვრამეტი ათასი მანეთი ღირს არშინი. სურსათის მხრივ არც სოფლები არიან კარგს მდგომარეობაში. ქ-ნ ნ. უნახავს ვორონეჟთან მთელი ჯგუფი გლეხებისა, რომლებიც ქვეითად მიემგზავრებოდნენ ჩრდილო კავკასიისაკენ პურის შესაძენათ. ბევრი მიწა დაუთესელი დარჩა, მიზეზი, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო ომი არის, აგრეთვე ისიცაა, რომ რადგანაც ნორმაზე მეტი მოსავალი უნდა ჩამოერთვას გლეხს, უკანასკნელი აღარ სთესს ზედმეტ პურს. ქალაქსა და სოფელს შორის მდგომარეობა გამწვავებულია. ქალაქი არაფერს აძლევს სოფელს, სამაგიეროთ არც სოფელი აძლევს პურს ქალაქს. ბევრი წარმოება შეჩერებულია, მუშების მდგომარეობა აუტანელია. არავითარი სიტყვის და პრესის თავისუფლებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. ილაჯ-გამოლეული ხალხი ეკლესიებში ეძებს ხსნას. აუარებელი მლოცველები აწყდებიან ეკლესიებს. ბევრი არის მათ შორის წითელ არმიელიც. პოლონეთთან ომმა ბალშევიკები უფრო გააძლიერა. ყველა ელემენტები შემოკრბენ ბალშევიკების გარშემო. ამ ჟამად რუსეთში არ არის არც ერთი გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც შეეძლოს ბალშევიკებისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა. ხალხი თითქოს შეეჩვია თავის უმწეო მდგომარეობას და ყოველგვარი წინააღმდეგობის გრძნობა დიდი ხანია ჩამკვდარია მასში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**ზღვის ძალის გამოყენება.**

მეცნიერმა ასტრონომმა ბიგურდანმა მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა ზღვის მოქცევისა და უკუ ქცევის ძალის გამოყენების შესახებ. გაზ. „ფიგარო“ სწერს, რომ ბიგურდანის მიერ ნაჩვენები საშუალება სპობს ნაწილობრივ ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც აქამდე არსებობდაო. საშუალება, რომლის წინადადებას ბიგურდანი იძლევა, მდგომარეობს ერთგვარ დიდი ზარის გაკეთებაში. ეს ზარი შეერთებულია ზღვასთან, რომელიც მოქცევის დროს კუმშავს ზარის ქვეშ მყოფ ჰაერს და უკუ ქცევის დროს კი ზარის ქვეშ სტოვებს სივრცეს. ეს მოვლენა სწევს წყალს რეზერვუარში, რისთვისაც შესაძლებელია გამოვიყენოთ ტბები და გუბეები, რომელიც მეზობლად არსებობს.

**ნავთის კონცეხიები.**

საფრანგეთის მთავრობა საფრანგეთ-

ინგლისის ყველა ჯგუფს, რომელსაც კი კარგი რეპუტაცია ექნება, ნავთის კონცესიების შეღავათს მისცემს საფრანგეთის ახალშენებში, ე. ი. ალჟირში ტუნისში და მაროკოში. ამგვარივე შეღავათს აძლევს ინგლისის მთავრობა თავის ახალშენებში საფრანგეთის ქვეშევრდომთ.

**რეიმსის შეკეთება.**

„ჰუმანიტე“ აქვეყნებს რეიმსის სასარგებლოთ მოწოდებას, სადაც მოყვანილია სტატისტიკური ცნობები, რომლებიც მოწმობენ შამპანის სატახტო ქალაქის აღდგენისათვის გაწეულ შრომას. რეიმსში, სწერს გაზეთი, 1914 წელში იყო 200,000 მცხოვრები. ეს იყო ღვინისა და მატყლის ქალაქი, ის ამაყობდა მრავალი საკვირველებით: ტაძარი „ნორტდამმ“—ეკლესია „სენ-რემი“ (2 საუკუნის), არხიეპისკოპოსის სასახლე (15 საუკუნის), ქალაქის თვითმართველობის შენობა (18 საუკ.), 13,806 სახლიდან 8,925 სახლი დამწვარი, ან სულ განადგურებულია, საზოგადოებრივი სახლებიდან 39 სულ დანგრეული და 108 კი ნაწილობრივ დანგრეულია, მათ შორის დანგრეულია ქალაქის თვითმართველობის შენობა, თეატრი, მუსიკალური სკოლა ტ ლიცეი. 46 სამრეწველო შენობა სრულიად განადგურებულია, 124 დაზარალებულია. მთავარ შესავალში ყველა ქანდაკება გაფუჭებულია. ძველი უბნები უკვე აღარ არსებობს. ზარალს 800 მილიონს ანგარიშობენ (ომის დრომდე ღირებულებით), რაც ეხლანდელი კურსით 4 მილიარდს უდრის. ყოველივე ის, რაც გაკეთდა უბედური ქალაქის აღსადგენათ, ეკუთვნის კერძო ინიციატივას. ქალაქის ევაკუაცია მოხდა 1918 წელს, 1919 წ. ენკენისთვეში იქ ითვლებოდა 45,000 მცხოვრები.

ამ ჟამად კი 70,000 მცხოვრებია. 11,602 ჰექტარ ვენახიდან შეკეთებულია 6900. 16 თვის განმავლობაში ტურისტთა რიცხვი 23 ათასიდან 90 ათასამდე ავიდა. ნავთსადგურში მოძრაობა 1919 წ. ივლისში 4264 ტონს უდრიდა. ეხლა 26000 ტონს აღწევს. რკინის გზაზე ვაგონების მოძრაობა 3,473-დან 37236 ავიდა. ხელახლა ააშენეს 80 სამრეწველო შენობა. აღადგინეს 32 3625, დროებით შეაკეთეს. 142 საბოლოოდ შეაკეთეს. ააშენეს ხის შენობა 179,—182 მაგარი მასალისაგან და 211 საერთო ბარაკი, რომელშიც 3500 კაცს შეუძლია თავის შეფარება. მოეწყო მუშათა 5 კოოპერატივი. აი მიღებული შედეგები. ეჭვს გარეშეა, რომ რეიმსი ყოველი მხრივ დახმარებას იპოვის.

## საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი.

**პოლონეთისთვის დახმარება ვერ მოხერხდა.**

**მოსკოვი.** 27 ივლისი. საფრანგეთს გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ჯარები გაეგზავნა პოლონეთის ფრონტზე, მაგრამ ინგლისმა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების გამო არ მისცა ჯარის გადასაზიდათ საჭირო გემები.

**მოხალისე წითელ არმიელთა მოკრება.**

**ბაქო.** 27 ივლისი. 30 ივლისს ბაქოში დაიწყება ადერბეიჯანის წითელ არმიაში მოხალისეთა ჩასაწერათ სააგიტაციო კვირა.

**ვრანგელის მუშაობა.**

**თფილისი.** 29 ივლისი. ამხანაგი, რომელიც ქაირიდან ჩამოვიდა და რომელსაც გამოუვლია ალექსანდრია, პირეი, ათინა და სტამბოლი, გადმოგვცემს, რომ ყველა ამ ქალაქებში მეფის მთავრობის ყოფილი საელჩოების და საკონსულოების შენობები ფაქტიურათ გადაქცეულია ვრანგელის სამხედრო შტაბებათ, სადაც სწარმოებს მის ჯარში ჩაწერა.

**ზავი ოსმალეთთან.**

**ლიონი.** 27 ივლისი (რადიო). ფრანგული პრესა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 29 ივლისს, ხელს მოაწერენ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას.

**შეშფოთება სტამბოლში.**

ბაქო, 29 ივლისი. ჩამოსული ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ ქემალ-ფაშას წინსვლა ძალიან აშფოთებს სტამბოლს.

**ბაქო—მოსკოვი.**

ბაქო, 29 ივლისი. ბაქოსა და მოსკოვს შორის მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა ეწყობა. გადაწყვეტილია მგზავრებს განსაზღვრული წონის ხელის ტვირთის წაღების ნება მისცენ, რათა ამგვარათ რკინის გზის მოქმედებამ აიწიოს.

# ახალი ამბები

**დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **საკანტროლო კომისიის სხდომა.** კვირას, 1 აგვისტოს საღამოს 6 ს., დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ცენ. საკანტროლო კომისიის მორიგი სხდომა. სთხოვენ ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ კრებას.

◆ **დამფუძნებელი კრების სესია** დაიხურება სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის შემდეგ. ბიუჯეტის განხილვა 20 აგვისტომდე დასრულდება. დამ. კრების მუშაობა შესწყდება არა უმეტეს $1^1/_2$ თვისა.

◆ **საერთაშორისო საფოსტო ორგანიზაცია.** ივლისის 28 ფოსტა ტელეგრაფისი ინახულა საქართველოში მყოფმა იტალიის მისიის წარმომადგენელმა ბ-ნ მაჩაბელმა და ესაუბრა მას იტალიასა და საქართველოს შორის იტალიის საფოსტო გემებით კორესპონდენციების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. გადაწყდა საქართველოს საერთაშორისო საფოსტო კავშირში ჩარიცხვამდე საზღვარ გარეთის ყველა კორესპონდენცია გაეგზავნოს ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, რომელიც შემდეგ გადასცემს იტალიის კონსულს ვაცანის, რომელთაც იტალიის გემებს გადასცემს. ამ კორესპონდენციას მიიღებს მთავარი ფოსტამტი რომში, რომელიც შემდეგ მას დანიშნულებისამებრ გადაგზავნის. ამავე წესით მოვა კორესპონდენციები საზღვარ-გარეთიდან საქართველოში.

◆ **ერთდროული დახმარება ადერბეიჯანიდან დაბრუნებულ ქართველ მოქალაქეებს.** ივლისის 27 მთავრობამ მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება საქართველოს იმ მოქალაქეთა ფულის გადახურდავების შესახებ, რომელნიც ადერბეიჯანიდან დაბრუნდენ. დადგენილია: მიენდოს სათანადო უწყებებს აღმოუჩინონ ასეთ მოქალაქეთ მათ განკარგულებაში არსებულ თანხებიდან ერთდროული დახმარება.

◆ **მთავრობამ დაადგინა** მიანდოს ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს, სახელმწიფო კონტროლიორს და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლებს შეიმუშავონ ზომები იმ ბანკების დაწესებულებების მოსასპობად, რომელთა მოქმედება საზარალოა სახელმწიფოსათვის. შემუშავებული ზომები საბოლოო განსახილველად უნდა წარედგინოს მთავრობას.

◆ **ქართული დრამა.** ივლისის 27 სხდომაზე მთავრობამ, თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებისა დაადგინა, ქართულ დრამის მოსაწყობად გადასცეს სამინისტროს იუზბაშევის სახლის ყველა დარბაზი და მეორე სართული.

◆ **ბათომის მუშათა მაგიდა.** მთავრობამ მოისმინა რა შრომის მინისტრის მოხსენება ბათომის მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის 100 მილ. მან. გადადების შესახებ დაადგინა: 1) თანახმად 1917 წ. 5 აგვისტოს გამოცემულ კანონისა, მიეცეს უფლება ბათომის ოლქის განსაკუთრებულ კომისარს, მოხელეთათვის და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის და მუშებისათვის მოახდინოს განსაზღვრულ ფასებში ბინების რეკვიზიცია. 2) გადადვას 100 მილ. მან. მუშათა მაგიდის და მუშების მომარაგების მოსაწყობად, შრომის მინისტრს მიენდო სათანადო დეკრეტის შეტანა დამფ. კრებაში.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** მთავრობას წარუდგინა კანონ-პროექტი იმ პირების შესახებ, რომელთაც ყალბ ფულის ნიშნების ბეჭდვა ბრალდებათ. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ასეთი პირები უფრო მეტი სიმკაცრით უნდა ისჯებოდენ, ვიდრე ახლა ისჯებიან.

◆ **კოოპერატიული საღამო.** პარასკევს, 30 ივლისს, საღამოს 8 ს. დემოკრატიულ კლუბ. მუშტაიდში მოწყობილი იქნება მე-2 კოოპერატიული საღამო ს. ც. კ. კ. შემდეგი პროგრამით: 1) მოხსენება ა. დევდარიანისა „კოოპერატივი და მისი მნიშვნელობა მუშებისათვის“ სურათებით. 2) ნაჩვენები იქნება ცეკავშირის მიერ გადაღებული სურათები—ადერბეიჯანის ფრონტი—2 ნაწ. შესვლა უფასოა.

◆ **აფთიაქების დელეგატების საყურადღებოდ.** ვინაიდან აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობას დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ აფთიაქის პატრონებს მიეცათ მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარება, რომლის მიუცემლობა გაჭიანურდა დელეგატების უმოქმედობით და კავშირისთვის დროზე შეუტყობინებლობით. ამისათვის კავშირის გამგეობა ავალებს დელეგატებს დაუყონებლივ აცნობონ კავშირს, სადაც არ მისცემენ პირველში კუთვნილ ჯამაგირებს და ივლისის ერთდროულ დახმარებას. კავშირის გამგეობა.

◆ **ტელეგრაფის ქსელი ბათომის ოლქში.** გადაწყვეტილია ტელეგრაფით შეაერთონ ბათომი ხულოსა და ართვინთან. ამასთანავე ტელეგრაფით იქნება შეერთებული ნიკოლაევკა, შედევანი, არდანუჯი და ბორჩხა. საერთოდ გადაწყვეტილია ამ მოკლე ხანში გაიყვანონ 250 ვერსზე უგძესი ტელეგრაფის ხაზი.

◆ **„ჩრდილოეთის ნომრების“ შესახებ.** ჯომბაზიანცის და კომპანიის მიერ, სასტუმრო „ჩრდილოეთის ნომრები“-ს ძალით ხელში ჩაგდების საქმის შესახებ მთავრობამ 27 ივლისის სხდომაზე დაადგინა: 1) გაუქმებულად ჩაითვალოს ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელის დადგენილება, 2) დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნენ თავის უფლებებში სასტუმროს ფაქტიური მესაკუთრენი ზელცერი და სიხარულიძე, ამასთანავე გაიდევნენ მოძალადეები სასტუმროდან და ჯომბეზიანს მიესაჯოს სატუსაღოში დაპატიმრება ადმინისტრატიული წესით 3 თვით.

◆ **ბათომიდან თფილისში ჩამოვიდნენ** ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის თავმჯდომარის ამხანაგი გ. ამაღლობელი და რეჟისორი ივ. ბარველი. მათ დავალებული აქვთ წრისათვის ბათომში 6 მსახიობის მიწვევა სეზონში სამუშაოთ.

◆ **კლუბების შუამდგომლობა.** კლუბების კავშირის კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან ძლიერი სიცხეები დადგა, აღიძრას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა, რათა კლუბები ნაცვლად 11 საათისა 12 საათზე იხურებოდეს. ამ მიზნით განსაკუთრებული კომისია აირჩიეს,

◆ **სახელმწიფო სტამბის შეკეთება.** მთავრობამ განიხილა სახელმწიფო სტამბის შეკეთებისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და დაადგინა ამ მიზნისათვის 392,747 მ. გადადება. სათანადო დეკრეტი უნდა წარედგინოს დამფ. კრებას.

◆ **მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძისა** გაემგზავრება კონცერტების გასამართავად შაბათს, 31 ივლისს, დილის 7 ს. პირველი კონცერტი დანიშნულია ხაშურში, შემდეგ ბორჯომში, ყვირილაში და გურია-იმერეთ-სამეგრელოში.

◆ **სახ. რაფო საქმეები.** მთავრობამ დაადგინა მისცეს წინადადება სხვადასხვა უწყების გამგეებს საჩქაროთ წარმოადგინონ მოხსენება სასწრაფო საქმეების შესახებ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი დამფ. კრებაში განხილვა სესიის დასრულებამდე.

◆ **ტეხნიკური კომისია.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა მთავრობის საქმეთა გამგეს აცნობა, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, დეპარტამენტმა ევროპაში რკინის გზისათვის საჭირო მასალების შესაძენად საგანგებო კომისია გააგზავნა. ამ ჟამად, ვინაიდან საჭირო მასალების ყიდვა უკვე დაიწყო, კომისია თხოულობს რომში აუცილებელ თანხის გადაგზავნას.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ს. ავალიანის წიგნები: ქართულად —„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ (მე-16—18 საუკუნოები) 196 გვ., ფასი 120 მან.; რუსულად—„გლეხთა საკითხი ამიერ-კავკასიაში“, ტომი მე4 ე, 230 გვ.

◆ **გორის დამხმარე კომიტეტს** „ერთობის“ კანტორამ ჩააბარა 60,000 მან. შემოწირულების მიღება გრძელდება.

◆ **ფრონტისთვის.** ხაშურის უმაღლეს პირველ დაწყებითი რკინის გზის სასწავლებლის მოწაფეებმა გამართეს წარმოდგენა. შემოვიდა ხარჯს გარდა 4000 მ. რასაც გვზავნით ფრონტის დამხმარე კომიტეტზე გადასაცემათ. სასწავლებლის ინსპექტორი ი. ხუნდაძე. *)

**პროვინციის ქრონიკა.**

**ახალციხე.** 20 ივლისს დილით ქალაქის ახლოს მოჰკლეს ქართველი მუსლიმანი, რომელსაც წაართვეს 80,000 მან. გვარდიის ხელმძღვანელთა და ადგილობრივ მილიციის უფროსის ენერგიული მოქმედებით მკვლელები აღმოაჩინეს. მკვლელთა მეთაური აღმოჩნდა შალვა ბენიამინისძე კანდელაკი, რომელიც რამდენიმე ხნის წინად გაანთავისუფლეს ციხიდან. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ კანდელაკი წინა ღამით ყოფილა შალვა ბერძენთან, რომელსაც წინეთაც ბრალდებოდა დანაშაულობანი. ეს ბერძენი დღემდე არ დაუტყვევებიათ.

# იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს რადიო ცნობები

თფილისი, 29 ივლისი.

**ბერლინი.** „სიურ მერი“ იუწყება, რომ ლოიდ-ჯორჯი და მილიერანი ერთმანეთს შეხვდენ ბერლინში რუსეთის პრობლემის გადასაწყვეტათ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ ბულგარეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება დაამტკიცა.

**ვარშავა.** გენერალური შტაბი იუწყება, რომ პოლონეთის ქვეითა ჯარი მოპირდაპირის ძლიერ შემოტევის გამო ფრონტის სხვადასხვა მიმართულებით უკან იხევსო. უკან დახევა ხელსაყრელ პირობებში ხდება.

**ათინა.** ადრიანოპოლი დაგვენბდა. ამით ყველა ოპერაცია დასრულდა. გუშინ ტრიესტში ბასერთა მთავარი ბრიგადა მოვიდა. ბრიგადა ტრიესტის გარნიზონიდან არის დანიშნული. ბრიგადას დახვდა აუარებელი ხალხი, რომელმაც მხურვალე ოვაციები გაუმართა მას და ყაზარმამდე მიაცილა. (სდს).

# საბერძნეთის მისის ცნობა

აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია, რომელიც ისე კარგად დაიწყო ადრიანოპოლის დაკავებით, სასურველად მიმდინარეობს. ოკუპაცია ამ დღეებში დასრულდება. ტაირის მიმდევართა წინააღმდეგობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მეტათ უმნიშვნელოა.

პარიზში ნეიტრალურ სახელმწიფოთა სხვადასხვა ორგანიზაციებმა სასტუმრო „ლიუტეციაში“ სომხეთის დელეგაციის საპატივცემოთ საუზმე გაუმართეს. საუზმეს დაესწრო მრავალი სენატორი და საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი, აგრეთვე პარიზში მყოფი უცხო გაზეთების კორესპონდენტებს წარმოითქვა სიტყვები. სომხეთის დელეგ. თავმჯდომარე აჰორონიანმა სხვათა შორის სთქვა: ქება და დიდება საბერძნეთს, რომელმაც ურწმუნო ევროპას აჩვენა ქემალ-ფაშის მარიონეტკების კომიკური ძალა.

ოსმალეთის საგარეო საქ. მინისტრის მოადგილე რეშიდ-ბეიმ ანატოლიაში საბერძნეთის ჯარის შესვლის შესახებ განაცხადა: არ შეიძლება უარვყოთ, რომ საბერძნეთის ჯარის მოქმედება, მუსულმან მცხოვრებთა მიმართ, სამაგალითო იყოო.

სკანდინავიისა და შვეიცარიის ზოგი პოლიტიკური ორგანიზაცია უმაღლეს საბჭოს წინაშე წარსდგა თხოვნით, რათა დაჩქარებულ იქნეს სომხეთის საკითხის გადაწყვეტა. (სდს)

# ერობა და ქალაქი

**თფილისის სამაზრო ერობის მე-7 სესია.**

თფილისის სამაზრო ერობის წევრთა ყრილობის მესამე სხდომაზე აგრარულ რეფორმის შესახებ მოხსენება გააკეთა იშხანოვმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აგრარულ რეფორმის გასატარებლათ თფილისის მაზრა 10 რაიონათ არის დაყოფილი: ავჭალის, ასურეთის, აღბულაღის, დიღომის, საგარეჯოს, სართიჭალას, მანგლისის, თელეთის, პრიუტის და ყარაიაზის, უკანასკნელი რაიონი მიწათ მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა, ასე რომ, ერობის განკარგულებაში 9 რაიონი დარჩა. სულ რაიონში ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა 43.489 დესეტ. უდრის. ამ რიცხვიდან კარგი მიწა აღმოჩნდა 2.310 დეს. 210 კვ. საჟ. მთელი მიწა ხარისხის მიხედვით სხვადასხვა კატეგორიათ არის დაყოფილი. მთელ მაზრაში მიწის ნორმის გამოყოფა დასრულებულია, 225 მესაკუთრეთათვის გამოყოფილია 5.436 დეს. 1340 კვ. საჟ. ამასთანავე მიწების შეფასება დასრულებულია. შემდეგ მომხსენებელმა წარმოადგინა ცნობები ღალის აკრების შესახებ. ღალის შესაკრებად სხვადასხვა რაიონში სათანადო აგენტები დაინიშნა. მთელი მაზრაში 6,687 ფუთი 5 ნახ. გირ. ხორბალი და 28,890 ფუთ თივა ღალა შეიკრიბა. აქედან ერთი ნაწილი იმყოფება თფილისის ერობის საწყობებში, მეორე ნაწილი გადაეცა მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ნაწილი კი ლა იბებს დაურიგდათ. საფონდო მიწების დამუშავებისათვის საჭირო გადასახადის სახით შეკრებილია 248,129 მ. დანარჩენი თანხა კი ნატურით არის შეკრებილი. მოხსენების განხილვისას შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: 1) აგრარულ რეფორმის გატარების დროს მიღებული უნდა იყვეს ზომები, რათა გლეხთა შორის მიწები, საჩქაროდ განაწილდეს; 2) აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე გამოსასყიდ მიწების ნიხრის გადადების შესახებ; 3) მიღებულ იქნას ენერგიული ზომები ღალის შესაკრებად; 4) მიენდოს გამგეობას თემებში ღალების შეკრების რევიზია მოაწყოს და სხ. (სდს).

# სომხეთი და ადერბეიჯანი

ყარაბახის სომხეთა სათვისტომოს საბჭოს წარმომადგენელმა ჩერზიკიანმა და პირუმოვმა მიმართეს ორჯონიკიძეს დეპეშით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყარაბახი და ზანგეზური დასახლებულია მხოლოდ სომხებით და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი ადერბეიჯანთან შეერთებაო. გლეხთა ყრილობები შეერთებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. ზანგეზურის და ყარაბახის მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში იბრძოდა ოსმალთა იმპერიალისტების და მუსავატების წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავათ. ამ ჟამად ჩვენ ვითხოვთ და აუცილებლად მიგვაჩნია საბჭოთა მთავრობამ თავი შეიკავოს მთიან ყარაბახის მიდამოებში ჯარის შეყვანაზე და გაგზავნოს იქ ნეიტრალური კომისია გლეხთა ნება-სურვილის გასაგებათ და ამისდა მიხედვით გადასწყვიტოს ყარაბახის საკითხი. ორჯონიკიძემ უპასუხა, რომ ყარაბახში ადერბეიჯანის ჯარი შეცვლილი იქნება რუსულ ნაწილებითო. (სდს)

# დამფუძნებელი კრება

27 ივლისის სხდომა.

(დასასრული).

**ს. ჯაფარიძე.** სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონპროექტს. ის დებულება, რომ სიკვდილით დასჯა კარგი არ არის და იგი არ სპობს ბოროტებას ეს ყველასათვის ნათელია. საქმე იმაშია, რომ დღევანდელ პირობებში სასარგებლოა თუ არა ამის მიღება და თუ ის მიზან-შეწონილი და სასარგებლოა მიღებულ უნდა იქნას. აქ გობეჩიამ სთქვა: თქვენ გინდათ თქვენი რესპუბლიკის გამაგრება ამ სისტემით. აქ გარეშე პირი რომ იყოს გამოიტანს ისეთ დასკვნას, თითქოს ეს რესპუბლიკა ჩვენია და თქვენ მის დამცველთა რიცხვში არა ხართ. თუ თქვენ გწამთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა არის ამავე დროს თქვენი რესპუბლიკაც, მაშინ უნდა გწამდეთ მისი დაცვაც. თქვენ ასე უნდა დასვათ საკითხი. დღევანდელ მომენტში დასაშვებია თუ არა ასეთი ზომები. აქ საქმე ეხება რესპუბლიკის დაცვას და ამ დროს ყველა საჭირო ზომების მიღება არის საჭირო. აქ სთქვეს ისტორიას არ ახსოვს ასეთი სასჯელი ამ გვარ დანაშაულობისათვისო. ასეთი წესები ნიკოლოზის დროს არ იყოვო. ნიკოლოზი იცავდა მცირეოდენ ბიუროკრატიულ ჯგუფის ბატონობას ას მილიონზე მეტ ხალხის წინააღმდეგ, საქართველოს რესპუბლიკა კი იცავს უმრავლესობას უმცირესობის წინააღმდეგ. ხალხი სიმართლის ნიადაგზე სდგას. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს საშინელი რეპრესიები იყო გამეფებული. ბალშევიკები მკაცრად იცავენ თავიანთ წყობილებას, თუმცა ისინი უმცირესობას შეადგენენ. ჩვენ არ გვრცხვენიან იმისა, რომ დემოკრატიულ რეჟიმს ვიცავთ უფრო მედგრათ, ვიდრე ნიკოლოზის მთავრობა იცავდა ბიუროკრატთა ბატონობას. ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას გარშემო მტერი ახვევია შიგნით აფეთქებას გვიპირობენ, მილიონობით ფული ტრიალებს. შეეცდებიან მტრები ჩვენს დამცველ ჯარსა და გვარდიას ფული დაუპირდაპირონ და რასაკვირელია, მოწინააღმდეგე, რომელიც აფეთქებას გვიპირობს უნდა დახვრიტო. ჩვენ გვინდა დემოკრატიული წყობილება დავიცვათ და ამისათვის ყოველივე საშვალება ვიხმაროთ.

დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ისეთია, რომ მიზან-შეწონილათ მიგვაჩნია ამ დეკრეტის მიღება. ორატორი კითხულობს სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებებს. პირველი ის, რომ პირველ მუხლში სადაც ნათქვამია სახალხო გვარდიელს დაემატება „ნამდვილ სამსახურში მყოფ“. მეორე: ამოიშალოს კანონპროექტიდან სრულიად მე-3 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ამ კანონით გასამართლდეს პირველ მუხლში ნაჩვენები დანაშაული, თუ ის ჩადენილია 1920 წ. ივლისის პირველიდან.

**ივ. ლორთქიფანიძე.** აღნიშნავს. რომ თუ ჩვენ გვგონია სამიოდე კაცი თავისი აგიტაციით დაანგრევს ჩვენს რესპუბლიკას, მაშინ სულერთია იგი მაინც დაინგრევაო. ჩვენ ასეთი წარმოდგენის არ ვართ ჩვენ ჯარზე და გვარდიაზე, აგრე ადვილათ ვერ აიყოლიებენ მტრები მათ. რუსეთში ტერორი მაშინ იყო, როდესაც სახელმწიფოს მთელი აპარატი, სასამართლო და სხვა მთავრობის ხელში იყო. და ასეთ პირობებში ესერები საუკეთესო ამხანაგებს სწირავდენ და აგზავნიდენ ტერორისტულ აქტების შესასრულებლათ. ამ შემთხვევაში ანალოგია მოსაყვანი არ არის თუ აჯანყება მოხდა, მოღალატე სასტიკათ უნდა დაისაჯოს და აჯანყება დიდის სიმკაცრით უნდა იქნას ჩაქრობილი. შემდეგ ორატორი იგონებს სოჭში მდგომ საქართველოს ჯარს და ამბობს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ასაჯანყებლათ აუარებელი ფული დაიხარჯა, ჯარისკაცნი მაინც არ აყვნენ მტრებს და თვით ალაგმეს დეზორგანიზატორები. საქართველო პატარა ერია. მისი ძალა არის მორალური ძალა, და აქ ისეთი კანონები უნდა გვქონდეს, რომ საქართველოს მოქალაქეობა საამაყოთ იყოს.

**ს. დადიანი.** (ს.-ფ.) სიკვდილით დასჯის შესახებ ჩვენი აზრი მოსმენილი იყო 5 ივლისის კანონის მიღების დროს. ახლა ამას არ შევეხებით. მიუღებელია ესერების მტკიცება, თითქოს მკირეოდენი ჯგუფი ვერ შესძლებდეს ჯარში დეზორგანიზაციის შეტანას. ბრძოლის ველზე ერთ კაცსაც კი შეუძლიან კატასტროფამდის მიიყვანოს მთელი ჯარი. ამ დეკრეტს უნდა შევხედოთ ისე, მიზანშეწონილი არის თუ არა? ჩვენის აზრით 5 ივლისის კანონი სრულიად უზრუნველყოფს და საჭირო არ არის ერთ და იგივე ნიადაგზე დავაყენოთ პროკლამაციის გავრცელება და იარაღით ხელში გამოსვლა. ამ თვალსაზრისით ამ კანონის წინააღმდეგი ვართ.

**გრ. ცინცაბაძე.** ეს დეკრეტი უდავო არის, რადგანაც იგი იცავს ჩვენს დამოუკიდებლობას და ვინც მისი წინააღმდეგ არის, ის წინააღმდეგ არის ჩვენი რესპუბლიკის. ჩვენთვის ერთი უნდა იყოს ცხადი: ვინც გამოილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ, მას პასუხი გაეცეს. ამ დეკრეტს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ნაკლებ იქნას დაღვრილი ხალხის სისხლი. ეს დეკრეტი გამაფრთხილებელი არის. უნდა იცოდეს ყველამ, რომ მტერი და მოღალატე დაისჯება. როდესაც საქართველოს ათას გვარი მტერი ახვევია გარს, ნუ თუ ამ დროს არ უნდა იყოს მიღებული განსაკუთრებული ზომები? ეს დეკრეტი, რომ არ მივიღოთ,—ჩვენი გვარდიელები და ჯარისკაცები თვით დაუწყებენ გასამართლებას მავნე ელემენტებს. როდესაც მტერი დაგესხმით თავს ბატონო გობეჩიავ, თქვენ არ დაიცავთ თავს და ნუ თუ ამისავე უფლება არ აქვს სახელმწიფოს. როდესაც ესერები ასე ლაპარაკობენ, ამით ააშკარავებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ჩვენს მტრებს და ამით ხელს უწყობენ მათ გაძლიერებას. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს ამ დეკრეტის დროულ ხასიათს.

კამათი დასრულდა. უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

**ზ. გურული.** აქ გობეჩიამ სთქვა იდეების გავრცელებისათვის სიკვდილით დასჯა სად გაგონილაო? ეს არევ-დარევა არის დეკრეტის. იდეების გავრცელებას არავინ ეწინააღმდეგება, იდეურ მოწინააღმდეგეს არავინ სჯის. დაისჯება ის, ვინც მოუწოდებს არსებული წყობილება დამხობილ იქნას. დადიანს შესაძლებლათ მიაჩნია დასჯილ იქნას მოქალაქე შეიარაღებულ აჯანყებისათვის, ფურცლის გავრცელებისათვის კი არ უნდა იქნეს დასჯილიო. აქ ლაპარაკი არის ისეთ ფურცლებზე, სადაც მოწოდება არის არსებულ წყობილების დამხობისაკენ. თქვენ როგორ გონიათ, სახელმწიფოსთვის განა უფრო ადვილი არ იქნება ალაგმოს ერთი ორი შეიარაღებული მოღალატე, ვიდრე საშუალება მისცეს აგიტატორებს შეიარაღებულ ხალხთან დაიჭირონ საქმე და მოაწყონ მათი აჯანყება. ბატონმა გობეჩიამ სთქვა, რომ ეს დეკრეტი სასირცხო არის და ასეთი მორცხვობა მომხსენებელსაც ეტყობოდაო. საქართველოს დემოკრატიამ შექმნა თავისი საკუთარი სისხლით დემოკრატიული რესპუბლიკა, ის სისხლითვე იცავს მას და ამის არც რცხვენიან ვისმე და არც ეშინიან. თქვენ აქ სთქვით: დგება თქვენი აღსასრულის დღე და ასეთ ზომებს მიტომ მიმართავთო. უნდა განვაცხადო, რომ არც თქვენი გვეშინიან ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცდება და მაგრდება მიუხედავათ თქვენი ძახილისა, რომ დადგა აღსასრულის დღეო.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტს, რომელიც მიღებულ იქნა სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებებით.

მისივე საბოლოო ტექსტი მოახსენა დამფუძნებელ კრებას ქრ. შარაშიძის ქალმა.

# ყოფილი კომინისტის წერილი

ჩვენს რედაქციაში შემდეგი წერილი შემოიტანეს გაზეთში დასაბეჭდათ:

„მე წინად კომუნისტი ვიყავი. ვმუშაობდი თფილისში კომუნისტურ ორგანიზაციებში. ყოველ გზით ვცდილობდი მუშები დამეახლოვებინა კომუნისტების პარტიასთან. ვმუშაობდი ფრთხილად, მაგრამ მაინც გამიგეს და შემიპყრეს. მეტეხშიც მომათავსეს. მეტეხში ცოტა ხანი დავრჩი, ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველო, რის გამო ჩვენც ყველა კომუნისტები გაგვანთავისუფლეს... გადავსწყვიტე დამეტოვებინა საქართველო და წავსულიყავი საბჭოთა რუსეთისაკენ. წავედი კავკავში. გზაზე ვფიქრობდი: მივალ საბჭოთა კავკავში და ტკბილად მოვისვენებ, იქ ხომ თავისუფლება და თანასწორობა არის და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს მეთქი. მართალია, საქართველოში ვერ შევქმენით კომუნისტური წყობილება, მაგრამ კავკავი და ადერბეიჯანი ხომ ჩვენიამეთქი!

ამ ფიქრებით ჩავედი საბჭოთა კავკავში. ვნახეთ ნაცნობი ამხანაგები. დაიწყო მისალმება-მილოცვანი.. აქ, სხვათა შორის, ვნახე ლადო დუმბაძე, რომელმაც მითხრა: აი, თქვენ ისადილეთ და შემდეგ მოსასვენებელ ბინებს მოგცემთო. ჩვენც ვისადილეთ საბჭოთა სასადილოში და შემდეგ წავედით ბინაზე. ძირს იატაკი გალაქული იყო, იდგა 7 თუ 8 „სკამეიკები“ დასაჯდომად. დასაწოლათაც აქ უნდა მოვკალათებულიყავი, მეტი გზა არ იყო! მეც რას გავხდებოდი—მოვისვენე. აგრე ვეყარეთ სამი თუ ოთხი დღე. ჩემ იქ ყოფნის დროს ჩამოვიდა მომხსენებელი თფილისიდან. მოწვეულ იქნა პარტიული კრება, რათა მოგვესმინა თფილისიდან მოსულ ამხანაგის მოხსენება. მე ეს იმდენათ არ მაინტერესებდა, ვინაიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. კრება გაიხსნა, მაგრამ კრებაზე უმრავლესობა თფილისელები ვართ. იქაურები ძალიან ცოტა არის. ვიკითხე მიზეზი. მითხრეს: განა აქაურ მცხოვრებლებს კომუნა სწამთ? პირიქით, წინააღმდეგნი არიანო. აქაურები ძალიან ცოტანი არიან პარტიის წევრებიო. მაგრამ აი ახლა თფილისელებმა უნდა გაამაგროთ თერგის ოლქიო.

აირჩიეს თავმჯდომარე. თფილისელი მომხსენებელი შეუდგა მოხსენებას. იგი ამბობს: მე მოვედი თფილისიდან და საჭიროთ ვთვლი გაგაცნოთ ბურჟუაზიულ საქართველოში ჩვენი მუშაობა. საქართველოში დღეს თავისუფლათ მუშაობს ჩვენი პარტია, თავისუფლათ გამოდის გაზეთი. გაზეთებს აუარებელი მკითხველი ჰყავს; ორგანიზაციების მოწყობას უკვე შეუდგენ თფილისის ციხიდან განთავისუფლებული ამხანაგები. მუშათა კლასი და ჯარი ჩვენია, ჩვენთან ეწერებიან. სახალხო გვარდია არის წინააღმდეგი, მაგრამ ადერბეიჯანმა მაგრად შემოუტია, შიგნითაც ორგანიზაციები ეწყობა და სახალხო გვარდიაც მალე მოსტყდებაო. ჩვენი ციხიდან განთავისუფლება, გაზეთების თავისუფლათ გამოცემა და თავისუფალი ორგანიზაციული მუშაობა,—ამბობს ორატორი,—საქართველოს მთავრობის სურვილით კი არ ხდება, არამედ ხდება იმიტომ, რომ წითელმა საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობაო და სხ.

დიდი ტაშით დაჰფარეს ეს სიტყვები. კრების გათავებისას მოხდა კავრევკომის საგანგებო რეგისტრაციის კომისიის არჩევა, სადაც იქნა არჩეული, სხვათა შორის დავახეთქე, იგივე ვანო კარაპეტოვი. ამ მოხსენებისა და კავრევკომის კომისიაში კარაპეტოვის არჩევის შემდეგ სულ გამომეცვალა აზრები... მაგრამ რას იზამ, ვერავის გაუზიარებ შენს მწუხარებას მისთვის, რომ საფრთხე მოგელის.

დავდიოდი ჩემთვის, ხან კავრევკომში, ხან ბაზარში. იმისიც მეშინია, რომ მითხრან: რატომ კავრევკომში არ დადახარო.

ვნახულობდი თფილისიდან ჩამოსულებს; ბევრი ჩადგა „ჩრეზვიჩაიკებში“, ერთი ქალიც ჩემი ნაცნობი ქართველი მსახურობდა „ჩეკაში“; ვკითხე, თუ რანაირი სამსახურია „ჩეკაში“-მეთქი; მან მიპასუხა: დაგიფაროს ღმერთმა იქაური სამსახურიდანო. რკინის გული უნდა ჰქონდეს მოსამსახურეს. მხეცივით ეპყრობიან დაჭერილებს. ვერ ავიტანე; ამ დღეებში უნდა დავეთხოვო და სადმე კოოპერატივში ვიშოვო ალაგი.

მეც ალაგი ვიშოვე კოოპერატივში და ცოტათ საქმე გავიჩინე. ამ დროს ჩამოვიდა რუსეთიდან წითელი გენერალი, ვინმე მარკოზაშვილი თავის შტაბით, რომელსაც უნდა მოეწყო ქართველთა დივიზია. ქართველები ყველა ოლტაცებით მიეგებნენ მარკოზაშვილის დივიზიაში ჩაწერას. ამით ფიქრობდენ ისინი შიმშილის თავიდან აცილებას. რამდენიმე ასეული კაცი ჩაეწერა მარკოზაშვილთან.

ამ დროსვე თფილისიდან ჩამოვიდა საშა გეგეჭკორი, რომელსაც მიზნათ ჰქონია დასახული თავის კერძო რაზმის მოწყობა. მარკოზაშვილის მიერ ქართველთა დივიზიის მოწყობა მას არ გაუხარდა. ერთ დღეს მარკოზაშვილის დივიზია იქნა გაწვეული,—ორჯონიკიძე მოვიდა და „სმოტრი“ უნდა მოახდინოსო. დივიზია წავიდა „სმოტრზე“, მაგრამ „სმოტრი“ კია რა,—უბედურება

9 მარიამობისთვიდან თფილისში გამოვა ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან { ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.

*) 4000 მ. მივიღეთ.

გამოდგა: გაიყვანეს ერთ დიდ მინდორში მოტყუებით: უთხრეს გიმნასტიკა უნდა გათამაშოთო და იარაღი დააწყვეთო. ყველამ ერთ ადგილას დააწყო იარაღი. როდესაც ქართველთა დივიზიამ იარაღი დააწყო, ჩასაფრებული მე-10 არმია ტყვიის მფრქვეველებით გარს შემოერტყა მას. ერთმა ყოფილმა „მატროსმა“, რომელიც სიმაღლით სამი არშინ-ნახევარზედ მეტი იქნებოდა და სისქითაც ვეებერთელა, ხმა მაღლა დაიღრიალა: „Вы, Грузины изъ Грузинской Дивизiи; вы арестованы и принадлежите особому отдѣлу“. მარკოზაშვილს უბრძანა: „Приказываю—по командѣ веди свою дивизiю въ особый отдѣлъ“. შემდეგ გადასცა მე-10 არმიას: „Окружите хорошенько, слѣдите зорько, чтобъ не удрали эти Грузины“-ო. მეტი გზა არ იყო, ქართველები დამორჩილდნენ და წაიყვანეს საგანგებო განყოფილებაში. ღამის 11 საათამდე იქ იყვნენ დატყვევებულნი. შემდეგ ისევ მარკოზაშვილის შუამდგომლობით გამოუშვეს. რამდენიმე დაიტოვეს. მარკოზაშვილის დივიზიის განიარაღებამ იმედი დაუკარგა ქართველებს. მაგრამ არც ამას დასჯერდა წითელი საბჭო. მეორე დღეს თვით მარკოზაშვილს დაეცნენ დასაჭერათ. მან დროზე გაიგო და დაიმალა, მაგრამ სამი დღის შემდეგ აგენტების საშუალებით მარკოზაშვილს ალყა შემოარტყა საშა გეგეჭკორმა და დაიჭირა. დახვრეტა უნდოდათ, მაგრამ რაღაც შემთხვევით მარკოზაშვილი გადარჩა დახვრე- [illegible]

მორთული დ ბედნიერი ერთიც არ არის.

ამიტომ დღეის რიცხვიდან მე გადავსწყვიტე ვემსახურო თავისუფალ სამშობლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არ შევდგე არავითარ საფრთხის წინაშე, სანამ სული მედგმება.

**ირაკლი კიკაბიძე.**

**(წერილი რედაქციის მიმართ).**

მსურს თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე დღეის შემდეგ აღარ ვირიცხები საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრათ.

**გასილი ალექსის ძე კაჭარავა.**

23 ივლისი, 1920 წ. დ. აბაშა.

## რკინის გზაზე

**სურამის რკინის გზის სანატორია.** ამ რამდენიმე დღის წინად მე გავხდი მოწამე ერთი გარემოებისა. რკნის გზის სანატორიაში გამგეთ ყოფილა ექიმი ბ. ტყემალაძე, რომელსაც ერთი წლის წინათ მიუთვისებია საავადმყოფოს ქონება სახლში წაუღია, რაც უკან არ დაუბრუნებია.

როგორც გადმომცეს, ის დაუთხოვიათ ბოროტ-მოქმედებისათვის. მის ნაცვლათ დაუნიშნავთ ამხ. იაშვილი, რომელსაც ენერგიული ზომები მიუღია როგორმე დაებრუნებია ტყემალაძის მიერ მითვისებული საავადმყოფოს ქონება.

ვერავითარ ძალას ვერ გაუჭრია, რკინის გზის საავადმყოფოს უფროსისთვისაც უცნობებია. უფროსს დაუბარებია ტყემალაძე მაგრამ არ მისულა,—ჰგონე- [illegible]

X.

არჩევნები გადაიდო მეორე დღისათვის. კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) აფთონ წულაძე, 5) კაპიტონ გოგოლაძე, 3) ონიფანტე რამიშვილი, 4) ვანო ჟოჟიკაშვილი, 5) ფილიპე ქიქავა, 6) ვიქტორ ჰედია, 7) ალ ქინქლაძე, 8) გიორგი ამაღლობელი, 9) ევგენი ძიძგური. X.

## მუშათა შორის

**სამკურნალო დაწესებულებებში მომუშავეთა კავშირი.** ქ. თფილისის სამკურნალო დაწესებულებებში მომუშავეთა კავშირის გამგეობის დადგენილების თანახმად 1 აგვისტოს 1920 წელს, სღამოს 5 საათზე, მიხეილის საავათმყოფოს შენობაში მოწვეული იქნება კავშირის ყველა წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) ხაზინადრის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მოხსენებები ადგილებიდან, 5) ყველა მოსამსახურეთა ერთ კავშირში შეკავშირება, 6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 7) მიმდინარე საკითხები. გამგეობა სთხოვს ყველა წევრებს აუცილებლათ გამოცხადდენ კრებაზე და მოამზადონ მოხსენებები ადგილებიდან. სასურველია მომხსენებელს თან ჰქონდეს შემდეგი ცნობები: ა) სამუშაო ხელფასის ნორმების შესახებ, ბ) რამდენი საათი უხდება მუშაობა თვითეულ კატეგორიას ან ცალკე პირს დაწესებულებაში, გ) დაწესებულებებში მომხდარ კონფიქტებისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ. თუ 5 საათისთვის საჭირო ქვორუმი არ შეიკრიბება, მაშინ მეორე კრება დაინიშნება იმავე დღის 6 საათისთვის და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

**თფილისი.** 1914 წ. დაარსდა მზარეულებისა და ხელზე მოსამსახურეების კავშირი. განვლო რამდენიმე დრომ და მოხდა განხეთქილება მზარეულებსა და ხელზე მოსამსახურეებს შორის. როგორც ჯამაგირების ამღებნი, მზარეულები ვერ შეურიგდნენ პროც. ამღებ ხელზე მოსამსახურეებს. ამიტომ გამოეყვნენ მზარეულები. მზარეულების კავშირი ძალზე სუსტი გამოდგა, რადგანაც ხელზე მოსამსახურეებმა უარი გვითხრეს იმ ფულზე, რომელიც მზარეულებს შეჰქონდათ კავშირში, რამაც კავშირი უფსკრულის კარამდე მიიყვანა. დადგა საკითხი ყოფნა-არყოფნის. რამდენიმე მზარეულების მეთაურობით მოწვეულ იქნა საერთო კრება და ერთხმად იქნა გადაყენებული ძველი გამგეობა. ამ სამ წლიწადში ვალის მეტი არაფერი დაუტოვებია ძველებს. შესდგა ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ პ. რაზმაძე, წევრებათ: ს. გოცირიძე, ი. გოგლიძე, გალ. არჩვაძე, კ. ცხვედიანი, მიხ. კახეთელიძე, კ. ჩალაძე, თ. სვანი. გამგეობამ მოკიდა მუშაობას ხელი და ჩამქრალი კავშირი აამუშავა. დღეს ეს კავშირი მართლაც კარგ პირობებში იმყოფება. ფულიც მოეპოვებათ—50,000 მ. და საქმეც კარგათ მიდის. **კ. ცხვედიანი.**

## პროვინცია

**ჩვენი დეპუტატები სოფლად.** 23 ივლისს ნაშუადღევს აგარაკ წაღვერს ეწვია დამფუძნებელი კრების წევრი ისიდორე რამიშვილი. ადგილობრივ თეატრის დარბაზში თავი მოიყარა წაღვერის ხეობის გლეხობამ და გაიმართა კრება-მიტინგი. მიტინგს დაესწრო ბევრი მოაგარაკენიც. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა დეპუტატი გ. გაგლოევი, მდივნათ ვ. მიქელაძე, დეპუტატმა ის. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. დეპუტატმა გლეხებისთვის გასაგები ენით დაასურათა ყველა შესანიშნავი მომენტი საქართველოს განახლებული ცხოვრებისა. აუდიტორია სმენად იყო გადაქცეული. მსმენელთა რიცხვი თანდათან მატულობდა, გათავებისას ორატორს ოვაციები გაუმართეს. იყო შეკითხვები რომელზედაც დეპუტატმა შესაფერი პასუხი გასცა. შემდეგ გლეხებმა მოახსენეს თავ-თავიანთი გასაჭირი. დეპუტატმა აღნიშნა ყველა საკითხები და შეჰპირდა მოგვარებას. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. მიტინგის შემდეგ დეპუტატი ესაუბრა ადგილობრივი ს.-დ. ქვე-კოლექტივის წევრებს. აძლევდა რჩევა-დარიგებას საერთოდ პარტიული მუშაობის შესახებ.

26 ივლისს დეპუტატები ის. რამიშვილი და გ. გაგლოევი გაემგზავრნენ გუჯარეთის ხეობაში. კრება დანიშნული იყო სოფ. ღვთისმშობელში ეს სოფელი შუა ადგილია ხეობისა. აქ თავი უნდა მოეყარა მთელი 15—20 სოფლის მცხოვრებ გლეხობას. დღის 12 საათზედ დეპუტატები მივიდნენ დანიშნულ ადგილას, სადაც აურებელი ზღვა ხალხი მოუთმენლად ელოდა მათ. არჩეულ იქნა მიტინგის თავმჯდომარეთ გუჯარეთის სკოლის გამგე ბორის მაყიევი, მდივნათ მახათაძე. პირველათ მოხსენება გააკეთა ის. რამიშვილმა. აქაური ოსები თავისუფლათ ლაპარაკობენ ქართულად. დეპუტატმა გააცნო ხალხს საქართველოს მდგომარეობა. აღნიშნა თანდათანობითი განახლება-აღორძინება საქართველოსი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს როგორც ძველად, ისე ამ ჟამად წარმოებს თავდაცვით პოლიტიკას და არსად სხვაგან სხვადასხვა ეროვნების ხალხი არ ცხოვრობენ ისე თავისუფლად, როგორც საქართველოში. მოხსენებამ 2 საათნახევარს გასტანა. სიტყვის გათავებისას ხალხმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ორატორი და ოვაციები გაუმართა. შემდეგ ამისა დეპუტატ გაგლოევმა ოსურ ენაზედ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა. ოსურათ ნათქვამმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. დეპუტატმა ცოცხლად დაუსურათა კრებას ბალშევიკური რუსეთის მდგომარეობა. შემდეგ აუხსნა ჩვენი პარტიის პრინციპები და მიუთითა ჩვენი მთავრობის და დამფუძნებელი კრების ბრძნულ პოლიტიკაზე და აგრეთვე აღნიშნა ძირითადი მიზეზები საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებისა. დეპუტატს მხურვალე ტაში უძღვნეს. შემდეგ ილაპარაკა ბორჯომის თემის თავმჯდომარემ შახნაზაროვმა. იყო წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვები მიტინგის თავმჯდომარე მაყაშვილის და ერთი დამსწრე გლეხის მიერ. მათ დიდი მადლობა უძღვნეს დეპუტატებს და ხალხის სახელით გამოსთქვეს სიხარული მთავრობის პოლიტიკის გამარჯვებისა. სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნეს ის გარემოება, რომ გუჯარეთის ოსობა იყო და იქნება საქართველოს ხალხთან და არასოდეს არ გაჰყვება ავანტიურისტებს ხალხმა ერთ ხმად აღიარა რომ არა თუ რაიმე გამოსვლებს ადგილი არ ექნება ამ ხეობაში, არამედ —მოსპობენ თვითონვე ყაჩაღებს და დეზერტირებს ოღონდ სათანადოთ მომზადებული ადმინისტრაცია ჩაგვიყენეთ სათავეშიო. აღსანიშნავია ერთი გარემოება აქაურ ოსების ცხოვრებაში ეს სკოლების უქონლობა. მთელ ხეობაში ერთად ერთი სკოლაა დიდგუჯარეთში სადაც მხოლოდ ერთი მასწავლებელია. ხალხი სიბნელეშია. საჭიროა სკოლები. დასასრულ თემის თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქნა კრების მიერ გუჯარეთის რაიონის მილიციის უფროსიდ გუჯარეთის მცხოვრები მიხეილ ფილიშვილი. ეს ფილიშვილი პოპულიარული პიროვნებაა და საკმაო მომზადებაც შესწევს.

ყრილობაზე დამსწრე გუჯარეთის მცხოვრებლებმა გლეხებმა შემდეგი საჩივარი შემოიტანეს: თრიალეთის მთებზე მყოფი თუში მეცხვარეები ძალიან ავიწროებენ მათ. ისინი არ კმაყოფილდებიან იმ ადგილით, რაც იჯარით აქვთ აღებული და შემოიჭრნენ ოსების საზღვრებში, სადაც მოაძოვეს მათი საბალახოები და შეავიწროვეს, დეპუტატმა და ერობის თავმჯდომარემ აღუთქვეს დახმარება და საკითხის მოგვარება. საჭიროა დროზე იქნას ზომები მიღებული, თორემ საქმე გამწვავდება და შესაძლებელია არა სასურველი შედეგები მოჰყვეს. სალამოს 6 საათზე დეპუტატები დაბრუდნენ წაღვერში. გუჯარეთის ხეობის ოსების ყრილობამ მიტინგზე მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრების ისიდორე რამიშვილისა და გიორგი გაგლოშვილისა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, გუჯარეთის საზოგადოების მცხოვრებთა საერთო ყრილობა 26 ივლისს 1920 წ. გულითად მადლობას უძღვნის მომხსენებლებს, რომლებმაც ჩვენს ყრუ კუთხეს მიაქციეს ყურადღება. ყრილობა იზიარებს რა მომხსენებლების აზრს სრული შეგნებით აღიარებს, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ თავისი ბრძოლი, წინდახედული პოლიტიკით გადაარჩინა საქართველო განადგურებისაგან და ხალხი ფიზიკურ მოსპობისაგან. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს მთავრობა ყველა მოქალაქის ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა ერთნაირად იცავს. ამიტომ ჩვენ საზოგადოებაში მცხოვრებნი მზათ ვართ მუდამ სინიდისის და პატიოსნების ქვეშ პირნათლად შევასრულოთ მთავრობის ყოველივე მოთხოვნილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩვენ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას, ძმობა ერთობას და სიყვარულს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

**ვ. მიქელაძე.**

**ს. ჯაპანა.** (გურია). ზემოხსენებულ სოფლის მახლობლათ მდებარეობს ტბა სახელწოდებით „ნარიოწალი“, რომელიც ზაფხულობით მის ახლო მდებარე სოფლებს: ჯაპანას, გულეიკარს, ქორიოსუბანს და ჭილოფას სიცოცხლეს უწამლავს. იშვიათად შეხვდებით ამ სოფლებში მთელი ზაფხულის განმავლობაში ისეთ ადამიანს, რომ კაცის ფერი ჰქონდეს, იმდენათ შესისხორცებული აქვს სუფყველას ციება და ცხელება. ბევრს მეცადინობდენ მცხოვრებლები ძველი მთავრობის დროს ამ ტბის გაშრობის შესახებ, მაგრამ ჩვეულებრივათ მათი თხოვნები არქივში იგზავნებოდა. წელს ზემოხსენებულ სოფლების მცხოვრებლებს ბედმა გაუღიმა. მთავრობამ ამ ტბის გაშრობა საჭიროთ სცნო და გეგმის შესადგენათ გამოგზავნა ინჟენერი ბ. მჭედლიშვი, რომელიც თავის მუშაობას განაგრძობს. იმ დროს, მცხოვრებლები ინჟენერის ჩამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდენ, ამ მუშახელის უქონლობის დროს დღეში ექვსი კაცი უფასოთ ინჟენერს დაყვება სამუშევრათ, რომ ხალხმა ფიზიკურ განადგურებას თავი დააღწიოს. **სოფლელი.**

**სოფ. დაფნარი.** (ქუთ. მაზრა). 12 ივნისს ადგილობრივ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის ეზოში მასწავლებლების ინიციატივით დაიდგა წარმოდგენა დაფნარის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოთ. იყო დადგმული „პატარა კახი“ და „გაუმარჯოს საქართველოს“.

საღამო მშვენივრად იყო მორთული. მოწაფეები საკმაოთ იყვნენ გაწვრთნილნი და ამიტომ მათი თამაში კარგ შთაბეჭდილებასა სტოვებდა. ხალხიც ბლომათ დაესწრო, როგორც ახლობელნი ისე სამტრედია-საჯევახოდან და ძლიერ კმაყოფილი დარჩენ. წმინდა შემოსავალი დარჩა 13,667 მანეთი. რაც გადაეცა სამკითხველოს გამგეობას დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. კრებამ ერთხმად დაადგინა გულითადი მადლობა ეძღვნას იმ მასწავლებლებთ, რომლებმაც იშრომეს ამ კეთილ საქმისთვის. განსაკუთრებით მადლობას უძღვნის საზოგადოება ნინა ბრეგვაძის ასულს, მარიამ ზარანდიის ასულს და შალვა ლორთქიფანიძეს.

კრების მონდობილობით გამგეობის წევრი **პ. მილორავა.**

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ს. ს. დემ. მ. პ. მეშვიდე რაიონული კოლექტივი გთხოვს მოგვეთავსოთ შემდეგი: „სახალხო საქმის“ 887-ში მოთავსებულია ღია ბარათი მსახიობ ქალების არჯევანიძის და და მარგველაშვილის მიერ კოლექტივის თავმჯდომარის ამხ. კვერნაძის სახელზე, სადაც წერილის ავტორები, ეხებიან რა იმ გარემოებას, რომ ისინი მოლაპარაკებულნი ყოფილან მასთან, ამხ. კვერნაძესთან, როგორც ნავთლულის კლუბის გამგესთან წარმოდგენის გამართვის შესახებ და ის დაპირებია რა ამაზე, ე. ი. წარმოდგენის გამართვაზე, შემდეგ რაღაცა მიზეზების გამო თვისი პირობა შეუცვლია. ამის გამო, როგორც ეს ბარათიდან სჩანს, ბ. მსახიობები ძლიერ გაწიწმატებულან, გამოსულან გაზეთის ფურცლებზე და ბარათში კოლექტივსაც კი იხსენიებენ, (რასაკვირველია მორცხვად) რომ ვითომდა ამხ. კვერნაძეს როგორც კოლექტივის თავმჯდომარეს ესარგებლებინოს თავმჯდომარის „ტიტულით“ და ისინი მსხვერპლნიც კი გამხდარიყვნენ მისი!.: (საკვირველია!) ს. ს. დემ. მ. პ. მეშვიდე რაიონული კოლექტივი აცხადებს, რომ არავითარი კლუბი და არც არავითარი ხელმძღვანელობა წარმოდგენების გამართვის სესახებ მას თავის თავზე აღებული არ ჰქონია. ეს ყველამ კარგათ იცოდა, მათ შორის, რასაკვირველია, ბ. მსახიობებმაც და რათ დასჭირდათ მათ ამ შემთხვევაში კოლექტივის ხსენება, ჩვენ არ ვიცით. ამხ. კვერნაძე ამ საქმეში კოლექტივის მხრივ დავალებული არ ყოფილა და ის სრულიად ავტონომიურად მოქმედებდა.

კოლექტივის **პრეზიდიუმი.**

ნავთლუღი.

ამ საგანზე რედაქციამ მიიღო ამხ. კვერნაძის და ბოკერიას წერილები. რედაქცია ათავსებს რა ამ წერილებიდან შესაფერ ადგილებს, ფიქრობს, რომ საკითხი გამორკვეულია.

ამხ. კვერანძე სხვათა შორის სწერს: „ქნ. არჯევანიძემ და მარგველაშვილმა—მე, როგორც კლუბის გამგეობის წევრს, მთხოვეს კლუბის დარბაზი წარმოდგენის გასამართავათ. მეც დავუთმე შენობა 26 ივნისისათვის. იმ პირობით, რომ 20% შემოსავლიდან კლუბის სასარგებლოთ ყოფილიყო გადადებული, ამ დღის ცუდი ამინდი იყო. ამიტომ მათ გადადეს ეს წარმოდგენა 3 ივნისისათვის. იმ დღეებში ჩემთან მოვიდა პროფესიონალური კავშირის მდივანი ბოკერია და მთხოვა კლუბის დარბაზი წარმოდგენისათვის რომლის შემოსავალი უნდა გადადებულიყო ფრონტის სასარგებლოთ. მე ვუპასუხე, რომ კლუბი სამ ივლისისათვის დაკავებულია და უარი განვუცხადე. მერე მთხოვა იქნებ დაგვითმონ იმ პირებმაო. მოილაპარაკეს ერთმანეთში ქ. არჯევანიძემ და ბოკერიამ და შესთანხმდნენ—იმ პირობით, რომ თეატრის შემოსავალი უნდა გაეყოთ სანახევროთ, ორივე წარმოდგენა ერთად დაედგათ. (ქ. არჯევანიძე კი პასუხს მე მთხოვს—პირდაპირ საკვირველია). წარმოდგენის გათავებისას მათ განმიცხადეს, რომ დიდი ზარალი ვნახეთო; მაშინ მე ის 30% არ გამოვართვი, რომელიც უნდა მოეცათ კლუბის სასარგებლოთ. მადლობის მაგიერ პასუხსა მთხოვენ. ამის შემდეგ მკითხველი თითონ მიხვდება, თუ მე რა შუაში ვარ აქ. რაც შეეხება ანგარიშის გასწორებას—ამასთან მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს და რა ანგარიშსა თხოულობენ—არ ვიცი. მათ ჰყავდათ მოკავშირე, თავიანთი ხაზინადარი; ანგარიში აი იქ უნდა გაესწორებინათ, ჩემი ძალმომრეობაზედ ლაპარაკი ზედმეტია...

ამხ. პ. ბოკერია სწერს: „მე კავშირის მიერ მქონდა მონდობილი წარმოდგენა დამედგა ფრონტზედ დაჭრილების სასარგებლოთ; ეს წარმოდგენა მოვაწყე 19 ივნისისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო იქნა გადადებული რაც ამხ. კ. კვერნაძემ არ იყიდა და მან ადრევე დაუთმო ქალ. არჯევანიძეს მეორე კვირა 26 ივნისი. ჩვენც 3 ივლისისათვის მოვაწყეთ წარმოდგენა, მაგრამ თურმე ხალხის მოუსვლელობით ქალ. არჯევანიძეს წარმოდგენა გადაუდვია 3 ივლისისთვის. ხალხმა უკვე იცოდა და ჩვენი აფიშები იყო ყველგან გამოფენილი. როცა შევეკითხე ამხ. კვერნაძეს, როგორ მოვიქცეთ მეთქი—მან მირჩია მე და ქ-ნი არჯევანიძე შევთანხმებულიყავით. ამის შემდეგ ქ-ნი არჯევანიძე და მე მოვრიგდით. 3 ივლისს უნდა წასულიყო 2 წარმოდგენა. ყველა ბილეთები, რომელთაც ხელზედ გაყიდდა ერთი ან მეორე,—გამყიდველის ყოფილიყო საკუთრებად. რაც გაიყიდებოდა კასაში იმ ღამეს, ყოფილიყო სანახევროთ, თავიანთი ხარჯი თითოეულს თვითონვე გაესწორებიათ თავიანთი შემოსავლით. ეს პირობა პირნათლად იქნა შესრულებული, როგორც ჩვენის მხრით, ისე ქ-ნ არჯევანიძის მიერ. შემდეგ რა მოუვიდა მათ, მე არ ვიცი...

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი
**კ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.

ექიმი **ივ. ბოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის საზღვრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხენის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ქ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე
მათემატიკის
**მასწავლებელი**
ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

ექიმი
ქენრის ისაიას ძე **ჯოლობი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **ჯოლობი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

ექიმი
**ნ. მ. ბაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)